

ლიტერატურული გაზეთი

№4 (236) 1 - 14 მარტი 2019

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

პაატა ნაცვლიშვილი

ლურჯი უდაბნოს ანაბრამები

გალაკტიონ ტაბიძეს, როცა ის 25 წლისა იყო


ჩემს ოცნებათა შენ ხარ ახდენა, შენს ოცნებათა ვარ ახდენები,
უვარდო ეკლებს ისე მიგზავნი, თითქოს უეკლო ნახე ვარდები,
არ გადავადებ უკან სავარცხელს, რომ არ გადიქცეს არვინ ხეებად,
როგორ უეცრად მთლიანდები და რა დაუნდობლად ნახე ვარდები.

რაც ვარ, ესა ვარ, — ვედრებიანა, ყვედრებიანა, ხვედრებიანა,
ხან ვიდარდებ და ხან ვადარდებ და ხან ვედრები და ხან ვედარები,
გასიზმრდებიან მაშინ ცხადები, როცა სიზმრები ვერ ახდებიან,
კიდევაც კარგად გადარჩენილხარ, რაც შენ აქამდე ნახე ავდრები.

ცამ რად დამსეტყვა, ვერ გამიგია ან დამისეტყვა რად ვენახები,
ვერ გამიგია, ამ ჩემს სანახებს ბინძური ხელით ვინ რად ეხება,
რა მიზნები აქვს, რა ჩანაფიქრი, ან რა გეგმები ან რა ხედვები,
ასე ვერავის ვერ დავინახავ, ვერავის ველარ დავენახები.

მიკვირს, აქამდე რად ვერ იპოვეს ნახევარძმებმა ნახევარდები,
არ მანდო ერთი მარცვალი, ვისაც ცეცხლისმფრქვეველი ვანდე ხარები,
ვერ გავახარე დიდი ორკესტრი, ჩიტთა პატარა ბენდი ვახარე,
და უცნაური ახირებანი უკან დაბრუნდნენ ახირებადვე.

მეგონა, ქარი დახვედა ბანერს, მაგრამ ქარს უკან ხვედა ბანერი,
გალაქსი რეკავს, გალაქსი უკრავს — ხან ვაიბერი და ხან ვებერი,
ჯიხვსა თოფ დავკარ, ჩამოვანითნე, ჯიხვი გამხდარა ავად ბერხენი,
„ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ უდაბნო ლურჯად ნახავდები“.



ნახატი ბალაკტიონე ტაბიძისა



შპკმ მორედ მინევეს გაღვივება. ჯერ, გარიჟრაჟე წამოსული წვიმის წვეთების ხმა; მერე, ბავშვობიდან გამოყოლილი სიზმარი... ცივა, მაგრამ დაუნანებლად უნდა დავტოვო ლოგინი. არ მიყვარს შიგ კოტრილი და ოცნება. ადრიახი დილის შუქით განათებულ ოთახში ახალი დღე იწყება. გარეთაც. სწრაფად უნდა ჩავიცვა, მერე ჩაცუცქულმა ვინვალო თუნუქის ლუმელთან. ტანჯვა... როგორც იქნა, ოდნავ ჩამოთბა და ის გუშინდელი, ფანჯრის მინაზე მთელმარე ცხენის ბუზი, ნელ-ნელა, თითქოს გაჭირვებით ქოქავს ფრთებს. გარეთ გაფრენას ლამობს. საზიზღრად ბზუის და მთელი ძალით ხეხუტება მინას. შუაზე გაკეცილი გაზეთით მივასრეს. კი, აუცილებლად. ესეც ასე... ლუმელისთვის ხუფის მოხსნა და მწერის ცეცხლში ჩაგდება მეზარება. მერე ვიზამ, როცა გამოიდარებს, განწყობა ასეთი. რას იზამ, მისი კაცი ვარ... ახლა კი ყავა. ყავა და სიგარეტი. იყოს საძილე ოთახის კარი ღია, სითბო დანარჩენ ოთახებში განაწილდეს, აბა, სად წავა. ჯერ კიდევ ცივა, ეზოში კი ივნისი დგას. და საკმაოდ მყარ ფეხებზე. ასე იცის მთაში. შუაბანდში გამეფებული ყავისა და თამბაქოს არომატისგან სასიამოვნოდ მაყრიალებს. მთელ კედელზე გადაშლილ ფანჯარაში არაფერი ჩანს ჯერ. გარეთ ნისლია — კამეჩის მანონივით ჩასქელებული, გაუვალა. ტყიდან და ხეებიდან ამოიზღაზნა. მთელი მიდამო და სახლი ჩაბურა. კედლებზე გაჩენილი ბზარებიდანაც აპირებს შემოპარვას. ცხელი ყავა სათვალის მინებს ნიორთქლავს. მათში დილით განცდილი სიზმარი ირეკლება. დროთა განმავლობაში ჩამუქებული ნითელი აგურით ნაშენი პირქუში შენობა, სამი მხრიდან გარშემორტყმული მაღალი გალავნით... გამაყრუებელი ღრჭიალით იღება რკინის უზარმაზარი ჭიშკარი და ვიღაც სუბიექტს შიგნით შევყავარ. დაჩრდილული ეზო მთავრდება. მერე სადარბაზო, ვინრო კიბე. ერთმანეთში აღრეული სუნი — მუავე კომპოტის, კატლეტის, ბოსტნეულის წვინანის... შავებში ჩაცმული ქალი მკაცრი ხმით მიხსნის — ეს შენი კარადა იქნება. აქ შენს ფესხაცემებს და პირსახოცებს დააწყობ. და ჭიქასაც, და კბილის ჯაგრისსაც, და ყოველ ნივთს. კარგად დაისხომე, ჩვენ ყოველდღიურად შევამომნებთ ყველაფერს... ვინროა და მაღალი. სპეციალურად ჩემთვის, ხის მასალისგან დამზადებული. ქოლგანი ყვითელი იხვე ახატია, სხვა, მსგავს კარადაში რომ არ ამერიოს. იხვს ელიმება რატომღაც. მე კი — არა. დედასთან მინდა. ფაფას ძალით მაჭმევენ. მერე ეზოში გაყავარ ხნიერ კაცს. დარაჯი! ყველა ასე ეძახის. მასაც როგორც კიბეს, კატლეტის და მუავე ბორშის სუნი ასდის. აქითამაშებ! — მეუბნება მოვადულად. ხმა თითქოს უძირო ჯურღმულიდან ამოსდის. აქ ბევრი ბავშვია, უზარმაზარი ბალი და იგივე ზომის ღია დარბაზი. მეც ვუერთდები დანარჩენებს და ყოველთვის მანდ მელვობა. რამდენჯერ ვეცადე, არ გამეღვიძებოდა. თუმცა რეალური გაგრძელება ვიცი, მაგრამ მაინც. მაინტერესებს, მაინტერესებს ისე, სიზმარში, ვირტუალურ ჭრილში... მაგრამ არა, არ გამოდის რატომღაც. ესეც განწყობაა ალბათ. მეორე ჭიქა ყავა უნდა მოვზარო, ერთი არ მყოფის. სუსტია. ამბობენ, თითქოს სიონის ურევენო, არ ვიცი, რადა ვიფიქრო... ნისლი უკან იხვევს; არა, კი არ იხვევს, დნება, უკვე უზარმაზარი ნეკერჩხლის კონტურები იხატება ჩემი ფანჯრის ოდნავ შეორთქლილ მინაზე. კვლავ უკან ვეშვები. რატომღაც მახსენდება: ქუჩას მივყუყუები. გზაჯვარედინზე ის ნითელი პირქუში შენობა მელდობა ხეი. ვჩერდები. ვაკვირდები. მერე ალაყაფის კარს ვაღებ ოდნავ და შიგნით ვსხლტები ლანდით. კვირა სადამოა და იქ არავინაა. ბალიც და ღია დარბაზიც ცარიელია. არც ისე დიდი ყოფილა იქაურობა, ისეთი, მაშინ რომ მეჩვენებოდა. პირიქით, პატარაა. ბავშვების ურიაშული და დარაჯის ნაბიჯების ხმა არ მტოვებს. არც სამზარეულოს სუნი. არც თუ მთლად შიშველი შეგრძნებები შორეული წარსულიდან და თან ვიცი, რით მოსულ-მობრძანებული... საბოლოოდ არა, მაგრამ მეტწილად დადნა ნისლი. გარემოს თითქოს ვერები უბრუნდება. ჩამუქებული მწვანე, იასამნისფერი. ისეთი, მოღრუბლული, მაგრამ, აისის ცა რომ ხატავს. ბელილაც ბევრია და რუხიც. მომნონს, ფერთა ულამაზესი გამაა. კომბინაცია. ღამენათევი შაშვებიც გალობას იწყებენ აქა-იქ... უზარმაზარი ლაინერი გვერდზე გადაწოლილა. შავ

კვამლს ტოვებს უკან და უკვე ჩემს ფანჯარასა და გიგანტურ ნეკერჩხალს შორისაა. წარწერასაც ვარჩევ. „ინდონეზიური ავიახაზები“. ხომალდის ერთ-ერთ ილუმინატორთან ერთად ქალის შეძრწუნებულმა სახემ გამიელვა. თვალებით შევხვდით ერთმანეთს. უსაზღვრო გაოგნებაა მის მზერაში. ვიცანი. ეს ნინუნამეია... მინიატურული, მწვანეთვალეა იაპონელი ქალი. უზადოდ აწყობილი ფიგურით. ისიც ვიცი, თმა ხან ქერა აქვს, ხან — შავი, ხანაც — ნითური. გააჩნია, რა განწყობაზეა. ჰო, აქაც განწყობა. ყველგან და ყოველთვის! პიროვნებაა მაინც თავი ყოველისა... ტანისამოსსაც სხვადასხვას ირგებს... ნაცონალურს, ხან — არაბულს ან რუსულს. ზოგჯერ ღონდონელი ლედის გარდერობს მოიხდენს, ან სულაც პაკისტანურ ქურთას, ჰენდმეიდს. თავისებური ადამიანია, ყოველგვარი ნარატივის გარეშე და ეს კიდევ შევინს. არც თავის კოსმოპოლიტურ შეხედ-

მხოლოდ მე მესმის მისი. სხვას, არ მგონია. ეკიპაჟი მთის მდებარეობა მიმოფანტული. ქართლის შუაგულში, ცხრაასრომცდაათ მეტრზე მსოფლიო ოკეანის დონიდან. ჯაკარტის, სინგაპურის თუ არც კი ვიცი, რომელი ქალაქის აეროპორტიდან, ათასობით კილომეტრის თუ მილის მოშორებით. როგორ დაპატარავდა, შემჭიდროვდა პლანეტა, და თან როგორ ფართოვდება ამავდროულად... კლდეზე ცოცხალი მინევეს ლამის. კუდის მხარე აქვს ძლიერ ახნექილი ლაინერს. მეც მივცოცავ მაღლა და მაღლა, ბოლოსკენ. გაუვალა კვამლი და აუტანელი სიცხეა. დამტვრეულ სავარძლებსა და პლანეტის ჩამოცვენილ საბარგულებს შორის მოძრაობა ჭირს. პანიკური შიშით დალდასმული, გაყინული მკვდარი სახეები შემომცქერიან. ფორმადაკარგული სხეულებით ჩაუხერხავთ სალონი. გზას ვიკვლევი მაინც. ეკონომკლასსა და ბიზნესკლასს შორის ორი სუბიექტი

ყუთს, ფრენის პროცესის სრული ინფორმაციით, სანამ ჩამოვლენ ფედერალური შტატებიდან, სანამ დადგება გამოძიების შედეგი, გამოიკვეთება მიზეზი. ზუსტად ასე ისხდებიან... ყოველი გაფრენის წინ ვფიქრობ: ნეტა ვიცოდე, ამ სალონში, ორასზე მეტ ადამიანში, ვინმე ერთი ისეთი მაინც თუ ზის, ვისაც ავიაკატასტროფაში დაღუპვა უნერია? — გონს მოდის ნინუნამეი. ვის რა და როგორ უნერია, ეგ არავინ უწყის. ფაქტია, ნინუნამეის არ უნერია. დანარჩენ ორასზე, ეკიპაჟს და ბორტგამცილებლებს თუ არ ჩავთვლი, სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდნენ, რა ვთქვა, თავს შევიკავებ. სულაც იქნებ, არ ვიცი, ჯაკარტის თუ რომელიმე სხვა ქალაქის აეროპორტის მუშას, გარეუბანში ცოლთან და რვა შვილთან ერთად მცხოვრებ ვინმე სინგ ლიი პენს უნერია ასობით ადამიანის ცოდვისა და ციხის ბორკილებში ერთად ტარება. და არც არაფერია ამაში გასაკვირი. უბრალოდ, ბანალურსაც ვერ დავარქმევ საკუთარ ცოლთან შეერთების ერთ-ერთ, რიგით, უიღბლო მცდელობას... არც ცოლის არცთუ ისე იშვიათ შეცბუნებას... თავად პრომისმოყვარე მუშა კი ბათქაშამოცვენილი კედლისკენ იზამს პირს. ცოტას ნაიჭვითინებს, მერე კი ადგება და წავა საშინლად ტრამვირებული სანყალი, პატიოსანი სინგ ლიი ახლომდებარე ბისტროში და იაფფასიან არაყს მიეძალება გონის დაკარგვამდე. დილას აეროპორტში გამოცხადდება თვალდაბინდული. არც ტვინი უმუშავებს, არც ხელი, და მოუჭერს თორმეტი ქანჩის ნაცვლად თერთმეტს. ამუშავდება მერე დომინოს პრინციპი. ფარულად და შეუქცევად. აეროპორტს კი სიზუსტე უყვარს. ნინუნამეისაც უყვარს სიზუსტე. ზუსტად იმ დროს გამოჩნდება სოცქსელებში, როცა შევთანხმდებით. მესენჯერი, ზარი, სკაიპი. სკაიპი, ზარი, მესენჯერი... თავის გადაღებულ ფოტოებს მიგზავნის. ძალიან საინტერესოა, სრულად ფლობს ფოტოხელოვნებას. — მე ისევე ნემსლ ჯეოგრაფიკში ვემუშავებ, აი, ახლაც ფოტოსიონისთვის მიფრინავდი ლიმაში. იქიდან თერთმეტი საათი ტაქსით და ადგილზე ვიქნებოდი, შენ კი, შენ კი... — უკმაყოფილოა თან კმაყოფილი ნინუნამეი. რა თბილი ლიმილი აქვს. და ტემპერამენტი. ენერჯიაც უშრეტი და ენერჯეტიკაც უძლიერესი. ამას უკვე ვგრძნობ. თერთმეტი საათი ტაქსით. ფაქტობრივად, საცალფეხო, ანდების მთავრებით შემოსალტულ გზაზე. ჰო, ავიახაზებს თუ არ ჩავთვლი. ინდონეზიურს. ენითალუნერელ სტრესს. — ქალია ტაქსის მძღოლი. ინკურესპანური სისხლით. მგონი, ესპანური სჭარბობს მცირეოდენით. შიშველი ტარვებით მანიპულირებს ავტოს პედლებზე. არც ისე ახალგაზრდაა. ასე, ორმოცის თუ იქნება. ინტენსიურად ენევა სიგარეტს. ბევრს ლაპარაკობს. ხან რას ამბობს, ხან — რას. იმ თავის წინაპარზეც მიყვება. არამარტო მასზე. საოცარი გაუშვებდა მას ხელიდან. ჰაერი კი კრისტალურად სუფთაა. გამჭვირვალე. — წარმომიდგენია, როგორ ენერება ნინუნამეი, იაპონელი ქალი საკურის ქუჩიდან, პერუს საერთო ანსამბლში. ყვითელ-ყანგისფერი არქიტექტურა. საათის მინანქარაყრილი ციფერბლატი ყოველ გუმბათზე. ფერად-ფერად ნაქსოვ ქუდებში მოქცეული ნაოჭიანი უწვერ-ულვაშო სახეები, ქალთა ფართოფარფლიანი ცილინდრები, პირში გარჭობილი მოკლე ჩიბუხები, ჭრელი პონჩოები და ზურგზეაკრულ ბავშვთა ცნობისმოყვარე სახეები. ტურისტთა დასტები ვინრო, საპლაკატოებზე ჯორებით ჩახერგილ ქუჩებში, გაუთავებელი სიგნალები ავტოთა. ძველი, გამქრალი ცივილიზაციის ნარჩენი გადამჯდარა ორმოცდაათიანების ამერიკულ შევროლებზე. — ის ხიდი ზღვის დონიდან ორიათას ოთხას მეტრზე დაუკიდიათ კონკრეტადორებს ოქროს გადასაზიდად. ლერწმისგან უმყარესად ნაქსოვ-დანული. სამასი წლის მანძილზე ეზიდებოდნენ ევროპასთან დამაკავშირებელი ამ საშუალებით განძეულს და, იცი, ჩვენს დღეებში ისტორიულის სტატუსი ჰქონდა ხილს მინიჭებული?! გასულ საუკუნეში კი ჩანყდა და სამი სოფლის ოცამდე მცხოვრები ჩაიტანა უძირო უფსკურულში. ახლა კი სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა და კვლავ ქანაობს კლდეებს შორის, სარგებლობით კი არავინ სარგებლობს. ცუდი რეკონსტრუქცია შექმნა. — თითქოს გამიგონია ამ შემთხვევის შესახებ.

ლევან ორახელაშვილი ნინუნამეის დღე



ულელებს უსვამს ხაზს. და ზოგადად, ბუნებრივია მასში ყველაფერი... ნინუნამეი ჰქვია. ქალის უძველესი სახელია. საუკუნეებით ჩარაზული კუნძულიდან. ჰო, აზიურ ბრიტანეთს ვიტყვოდი... და მის მშობლიურ დიალექტზე სასიყვარულო გზავნილს ნიშნავს... რაღაცნაირად, ჩვენთვის უჩვეულოდ სათუთად თქმულს, ამომავალი მზის ქვეყნის ყველა ტრადიციით შეფუთულს. თითქოს მეზობელ ჩინეთში გაღვივებულ ძუიხიცუს უნიკალურ ესეისტურ ფესვებში გაბმულ-ჩახლართულს, იქ აღმოცენებულს და ასე გზაგაგრძელებულს... ასეთია და ასეთად ვხედავ მას, ნინუნამეის. ჩემი სავარძელი მივატოვე. აუჩქარებლად მივიკვლევი გზას საშემოდგომოდ გამზადებულ თვის ზვიგებს შორის. დამფრთხალი ძროხები მილობავენ ბილიკებს. კუდაწეულები, ჯიქნების ქნევითა და ბლავლით გამორბიან საპარისპირო მიმართულებით. ნისლის ნარჩენი გუდავს მათ ბლავილს. ის კი ჯერ არ დამდნარა ბოლომდე და თეთრი მარმარილოს სვეტებად ადგას ცვრიან მინას. ბორტის კონტურები ილანდება უკვე ბუნდოვნად. მხოლოდ ნითელი საღებავით გაკეთებული წარწერა, „ინდონეზიური ავიახაზები“ იკითხება მკაფიოდ. მის თავზე კუპრით შავი კვამლი იკვრება მკვრივ კვანძად და მერე მაღლა ცას უერთდება. სანამ ბორტამდე მივალ, მისი სავეზიბო ბარათი მხვდება წინ. გადმოღვრილი სანავისი, ალმოდებული პლასტიკის და სადენების მძაფრი სუნი. ამ „არომატს“ ძალდატანებით გათხოვლი პატარძლის შლეიფით მოწყვება დამწვარი სამოსის, ხორცის და პრესის სუნი. ჰო, პრესის მეცა განსაკუთრებულად. გაზეთებისა და ჭრელ-ჭრელი მეგეზინების, ვილაც ოდიოზური ტიპების ფოტოებით სავსე, დაბრმავებამდე პრიალა, ალმოდებულ ყდებზე. კიდევ რამდენიმე წამი მჭირდება. ნახევარი წუთი მაქსიმუმ და ხელის განვდენამდე მივუახლოვდები მწვანე, ველური ყვავილით დაწინკლულ მდებარე მხრჩოლავ ფუხელაქსს. ბორტის ჩამსხვრეული საქარე მინიდან გადმოცვენილი სრული ეკიპაჟი მახლობელ გორაკზე მიმოფანტული... ხმა ჩამემსმის თავაშვებული ცეცხლის ტკაცუნადან. ბორტი კვლავ ხაზზეა, ეტყობა. დამტვრეული ინგლისურით წვალობს ვილაც კაცი. წვალობს, სულს ღაფავს ლამის. — ბორტი სამოცდარვა სამოცდარვა... აკრიფთ სიმაღლე ცხრაათას სამოც... მისტერ კუპერ, თუ შეიძლება, სკოტის დამისხით... ბორტი სამოცდარვა... გმადლობთ, მისტერ კუპერ... სამოცდარვა... და მიმღები შიშინებს. განყდა კავშირი, ეტყობა. რას გაანყობ... იცოდეს ახლა ათიათას მილს მიღმა მყოფმა ავიადისპეტრერმა, მხოლოდ მე და ნინუნამეია რომ გვანვდენს ხმას. აღარ ინვალებდა ამდენს. გაითავისებდა როგორმე, რომ მოსახდენი მოხდა, მოდუნდებოდა, კიდევ დაუსხამდა მისტერ კუპერი, თავისთვისაც გაიმეტებდა. მერე თვალს თვალში გაუყრიდნენ ერთმანეთს და ისხდებოდნენ ასე. შიშითა და გაუგებრობით მოცულნი. ეს მანამ, სანამ იპოვინა შავ

მოდრობს. თვალმისაცემად გამოხეჩილი შუბლები, ახლოს დამჯდარი, მრგვალი თვალები, შეცვენილი ნიკაპები. ეს ზეზვა და ზაზაა. ზემოსოფლიდან. ფრიად უცნაური სოფელია... ცნობისმოყვარეობას აყვავარ ზოგჯერ იქ, მაღლა. დავდივარ ეულად ვინრო და აყროლებულ დაკლაკნილ ორლობებში. მოხრეშილის ორივე მხრიდან გაცხიმილ, მღვრი წყალს პომიდვრის, კიტრის კანი თუ საზამთროს ქერქი მოაქვს პატარა, სათამაშო ხომალდებში. გაუნმენდავი ბოსლისა და საქათმის სუნი სუფევს ირგვლივ. აი, სოფლის ნაგავსაყრელიც — „ცენტრი“. ოდესღაც თეთრი, ათასი ლენტით თუ ნაჭრით გადახვეულ შლანგიდან მომდინარე წყარო. ამ ადგილას მხოლოდ ქვენარმავალი, ბუზი და მკბენარი ზეობს. მწერი არღვევს მხოლოდ სიჩუმეს. ყველა სახლშია შეკეტილი რატომღაც. დაგლეჯილ ფარდებში ილანდებიან. გზვერავენ მალულად. ჭიშკრის წინ დასობილ ხის სკაპზე მარტოდ დარჩენილი ბავშვი თუ გამომაყოლებს მრგვალთვალა მზერას. დიდი ხნის წინ დასახლდა ეს ხალხი აქ და ერთი გვარისაა ყოველი მათგანი. უცხოვს ვერ ნახავ ამ ერთ ოჯახად ქცეულ იმბრიდინგში გახლართულ სოფელში... ზეზვა თავაზიანად მესალმება. თან, ჩექმა გაუხდია. ლაქის ცხვირამომწვარ ფეხსაცმელს იბომებს. ზაზას არ სცხებლა ჩემთვის. ოქროს ბეჭებზე დასმულ ძვირფას თვალში, მოღრუბლულ ცაზე, მზის სხივს დაეძებს ილუმინატორს მიღმა... თბილი ხელი აქვს ნინუნამეის. ცხელი თითქმის. ცივი ამინდის საპირსონე თავქვე ვეშვები. ბატკანივით დამყოლია და ხმას არ იღებს. მოკვია თითქოს. სურათი იგივეა, მხოლოდ ზეზვა და ზაზა აღარ ჩანან. პილოტის კართან ვყოვნდები წუთით, ჯერ ნინუნამეი უნდა დაეუბრუნო დედამინას. — ბორტი სამოცდარვა, სამოცდარვა! აკრიფთ სიმაღლე ცხრაათას სამოც... მისტერ კუპერ, თუ შეიძლება, სკოტის დამისხით... ბორტი სამოცდარვა... გმადლობთ, მისტერ კუპერ... სამოცდარვა... და მიმღები შიშინებს. განყდა კავშირი, ეტყობა. რას გაანყობ... იცოდეს ახლა ათიათას მილს მიღმა მყოფმა ავიადისპეტრერმა, მხოლოდ მე და ნინუნამეია რომ გვანვდენს ხმას. აღარ ინვალებდა ამდენს. გაითავისებდა როგორმე, რომ მოსახდენი მოხდა, მოდუნდებოდა, კიდევ დაუსხამდა მისტერ კუპერი, თავისთვისაც გაიმეტებდა. მერე თვალს თვალში გაუყრიდნენ ერთმანეთს და ისხდებოდნენ ასე. შიშითა და გაუგებრობით მოცულნი. ეს მანამ, სანამ იპოვინა შავ

ეთერ
თათარაიძე



რად გამაჩინ, უფალო,
სითბოს მძებნელ, მკრეფელ,
განაკაშკაშ ცის კვალად
ჯურღმულ ციხდ ამყეფელ.

რად გამომტაც, თუ მომეც
ჩემ უტკმილეს, უფალო,
ამ ლექსების მკრეფელ,
სულ სიმარტოვემ გაქანც,
არვისყოფნამ მჭექემ...

დიდხუთშაბათ არ დი'ვიწყე,
თურსა'ის ტოტ მომიჭერ,
მემრ მძივებად მიქციე-დ'
ზედ ჩემდ ლოცვა მომიკერ.
სულტკრეფისად არ ივიწყე,
ისრებს ზროებ მომიკვერ,
სამკუთხა' ჩემდ წერილში
ახალ ამბებ მომიწერ.
თუშეთს რო ათუშეთებთ,
სუ ორ სიტყვით მომიჭერ...

ჰო, მიფიქრი, რა' ეზმის
უშენოდ მრუმ საფლაგში
ჩემ გულს სევდიანს.
ანა-დ' შენ მოლოდინში
თვალეებს შენკის მონაპყრობს,
ცრემლის დელგმიანს
რა' ეშველებ, რა'?!

ჰო, ამბობენ, ბედს თურმე
ჭკვიან მეტა' უყვარს,
უჭკოს თურმე ვერც ხედავს,
ციხეს ხეკტავს უკარს.
ალბათ მართლ ემაგრ არის,
მადლობა დიდ უფალს...

მძინარე ხეს დავეფერ,
გაზაფხულის მოსვლას რო
პენტვას ვერვინ და'სწრებს.

მეაც მინდ, ნუშის ხედ ქნილ
ავიპენტო-დ' აყვავდ,
როცა ღმერთს მივსენებენ...

შოორ თეთრ მწვერვალს ღვევხარვი,
სუ ტყუილად ნუ მეტყვ.

გულის კარებს ბოლომდ გივსნ,
ი'სრეც სუ ღრიჭოდ ნანირს,
მოდი-დ' ჩამხედ, გამიცან.

თუკი საეჭვოს მიმიხედ,
არ დამინდვ, არ შემებრაღვ,
სამანს იქით გამიტან.

თუკი ბოლომდ სუფთად ჩამთვლ,
ჩამავალ მზეს ჩამაყოლ,
დილა ცასავ ამიტან.

მთელი დღე მზესთან ერთად
დედამინა მათბობი,
ტრიალ-ტრიალ ნამიყვან.

ხუნჯირის თვლებში სხედან
მანდილიან ქალა'ებ,
ნაძვის ძირში მიმსხდარან
წვიმით ნაბან ქაშა'ებ.
ჩიტის ბუდეში თავ უჩ
ბლარტებს ნაღვიძთ-მთქნარა'ებს,
ფიჭვის ხეზე არბიან
ციყვებ თავ-მთხილნ, მჭყალა'ებ.
ხუნჯირში ცხენის სწებას
დაზძინები ქალა'ებს.
ჭკვიან ცხენ დღეს შინ ნი'ყვანს
მანდილიან ქალა'ებს...

დედო, ვინ გადამინმედს
მტვერს ჩემ ჭრეხილ აკავანს,
„ოხოო, ნანოვ“ ნამღერალს,
ტკმითად ნასწევ-ნაქანავს.
დედო, ჩემ ტკმით დედო...

დედი, ხან შაშვ, ხან მერცხალ
ჭიკ-ჭიკს ხქანცავს არეს,
ხან მზე ხფიავ ჩვენ ეზოს,
ხან მთვარეი კარებს.
კიდევ რომელ ერთ უნდ ვთვალვ,
დამალულ შენ თვალებს,
შენ სამუდმოდ დე'მშვიდობ
სამზეოს ტკმით-მნარეს.

ნეტა სიმღერად მაქცი
მემრ შენ მთა-წვერს დამაფინ,
ნეტა წვიმად მაქცია-დ'
შენ ველ-მინდვრებს წამამცქერი.

ანა-დ' ნისლად ნაქცევარ
ჩემ თუშეთისკ გამაჩქერი.

— დე', მუ'კვდავა' ვინ დამრჩალ,
შენ რო უფალს ემდურებ.
— დამრჩალ ვარი-დ' აევ არის, —
თვალნაფართალ მეობნებ.
— აქ არავინ გუ'წირავ,
ჩემ ტკმით დედო, გეობნებ,
— მე სიკვდილს დავავინყდივ,
დამიჯერევ, — მეობნებ.

ნეტაი კი, ჩემ დედო,
და'ვინყდემცევ, გეობნებ.

დარდებს ისრ ვშლი სულითას,
რა' გვერც მშერა'ყვავებს...

წინავ მოგქონდ ყვავილებ,
ახლ ქლექმეყრილ სიტყვებ,
მე კი იმავ ეთეროდ
დავრჩი-დ' ცხვად ვერ ვითქმებ.


ალარ მინდ შენ ყვავილებ,
ოლონდ გაკურნ სიტყვებ...
წინავ ყვავილებ მოგქონდ,
ახლ ქლექიან სიტყვებ...

ჰო, სიჯვილე გვეყრებ,
რა' გვერც შემოდგომაზე
ხე გახყრის ფოთოლს.
მემრ მძიმე ზამთარს შე'მზის
რა' გვერც ჩვენ სიბერ-ყრუეს
ულონკრობა მომყოლს.
გაზაფხულზე ხე გარეც
მწვანედ ში' მოსებისა-დ'
ტანს ი'სხამს ფოთოლს.
ჩვენ უფრ ჭკნობისაკ წავალთ,
გავეყრებით სამზეოს,
მოგვწონს, არ მოგვწონს.

ვიქნებ, ვიქნებ, ვიქნები-დ'
ერთ დღეს ალარ ვიქნებ,
იქნებ, იქნებ, იქნები-დ'
ერთ დღეს არც შენ იქნებ.
იქნებ, იქნებ, იქნება-დ'
ცაი-დ' მყარ სუ იქნებ...

მზეიც დავლაღეთ, ეტყობ,
ლონელულ ამოვდ,
აეს ასწლოვან იფნის ხე
წელში დრეკით ჩამოვმ.
ეკლესიამ დულაბმყარმ
ნატკივ კედლებ ჩამოფხვენ,
რა დავქანცეთ სამზეოა,-
სინანულით ამოვთქვ...

რად გამაჩინ, უფალო,
სულით მარტოდმყოფელ,
სუ ქარიშხალ მტრიალე
ჩემ სახლი-დ' სამყოფელ.



ჩარაგამოლეულ ვარ
ამდენ ძლება-ძლებას,
სუ თავადა' ყოფნასა-დ
სუ არავის ხლებას.
დარდის ზვავ-წყლის გულგამხეთქ,
მომუქარე ნჩქლებას,
ჩარაგამოლეულ ვარ
უფლიზდ მუჭლით ხლებას.
ცხვა იმედ არსითაჲ,
ვმადლობ უფლის ძლებას.

წმელ ხედ დამრჩალი მზეზე,
გამგძლებელ არ ხყავ,
სიხარბისგნივ ამონყვიტ,
ბოლმით მსულ გულ არ წამ.
ხვალე-დ ზეგ სრა-სასახლეო
თავზე დუ'ჯდებ შავ ყვავ,
წმელ ხედ დამრჩალი მზეზე,
მინის დე'ცემ შავ ზვავ.
სიხარბე-გულლორობაჲ
არ წამ, არ ვარგ, არ წამ, —
ეეს ააგრ ეჯერ წინაურთ...

ჭყეტა' მასკვლავ ამოდის,
გორისპირზე დამიჯდებ,
ისტა' ულამაზესი,
ხედვით თვალ ვერ გამიძლებ.
დიდხან არ იდოდგოებს,
გამიქცევა-დ' ჩამიჯდებ,
რა'გვერც შენზე საფიქრელ,
შუა გზაში ჩამიწყდებ.

წირდლ გადე'ფარებ ზეცას,
მზეს შა'მციენებს, მოაწყენს,
ლურჯ ცას ლეგას გახჯდისა-დ'
გულს შავ ლოდებს მოაწყენს.
მზეივ იყოჩალებსა-დ'
სვეტ-სვეტებად მოამწყვდევეს,
გულსაც იმედს მოხფენსა-დ'
სამლერელა'ს მოაწვდენს.

რა ბედნიერებაი
ჭკვაზე დაბერებაჲ,
სიმშვიდით ცხორებისი-დ'
სითბოს დაბეებაჲ.
რა ბედნიერებაი
ჭკვაზე დაბერებაჲ,
ემაგრ დაძელგებაჲ.

ცისკ ნასულ ციხის მუქერას —
ნეტა გადმოგაქციაჲ,
თანაც ქართავ.

იქნებ აშჩინდებოდევ
ჩემ ნანატროვ ი'მაშივ
ძახილ ქალითაჲ...

არა-დ' ვერ გადმა'ნგრი ქარმ,
თავნონებით დგას მყარად,
დარდ არ ქალისაჲ.

იქნებად მოვერიოვ,
ერთხენც, ერთხენც იქნესავ,
ბოდვა ქარისაჲ.

ნეტა გადმოგანგრიავ,
ნეტა გადმოგანგრიავ,
ნატვრა ქალისაჲ.

გეტყვ, მე მეტს ველარ გაგზძლებ,
ჩემ თუშეთო, უშენოდ,
სამუდმოდ მანდ დაერჩები-დ'
ხო ვერც შენ ზძლებ უჩემოდ.
შენივ მიწად ვიქცევი-დ'
შენივ ნისლად უფეროდ,
ერთმანეთს შევეჯოცნეთ
ზნე-ხასიეთ უფეროთ.
ათასფერის სამკაულ,
ფერად სამოს უკეროთ,
ცას მწვდომ კდე-ჭიუხებსა-დ',
მთებს წვერიან-უნწვეროთ.

წერა თავს დამბუისა-დ',
რალაცისად მამზადებს,

ხან ბადაგს მიდულილებს,
ხან სხამა'ით მამძალებს.

სუ სიმშვიდე არ მექნებ,
სულ კანკალებს-თახთახებს,
უფალო, გამაძლები! —
წმარაქცეულ ავზძახებს.

წერა თავს დამბუისა-დ'
ვერ ვიც, რა'იზდ მამზადებს.

ცქრიატ დილა'ობაი,
ყველა' შინისკ ეშურებ,
ეეს ერთ ნახორ წინკანა'
სიცივეს არ ეპუებ.

განაყინარ ტოტზე ზის,
ზედ დილის ნამ ეპკურებ,
ციცქნა' მწკალებს იცვლისა-დ'
თვალითა ცრემლ ერწყულებ.

არასი არ აპირებს
გადაფრენას ეეს სულელ...

წელიაჲ ადამიან მადლით სამსვია'ი,
თავა მომკლებელა'ი-დ' ცხვათად მიმცემელ,
თვალბედუ'ხამხამებლად ჭირში მიმწვდენელ...
წელიაჲ ადამიან
მადლის მიმფენელ...

ჩოლოხ-მოლოხ ეყარის
განაწირალ ბაშტეში,
სი გუთნის ნამტვრევა'ი-დ'
სი ნაცვეთ თოჯ ბაწრებში.
აქისაკ გძველ ლიპყ მტვრიან
ძველ-მალ ჭურჭელ თავჩებში.
ჭოლოხ-მოლოხკა'ობაჲ
ქარის ნაბლენძ საფრებში.
ზოგ ფარდაგის კენაფა',
ზოგგან ქატონ საცრებში,
განაცვეთარ ქამბლები-დ'
ნანაკვეც თმებ თავშლებში.
ტყავკაბების ნაგლეჯებ,
გადანახვევ ბლანძლებში...
ჩოლოხ-მოლოხ ეყარის
წვიმამდინარ ბაშტეში,
ჭოლოხ-მოლოხკა'ობაჲ
ტანჩამომძალ თავჩებში.
არავინ არ ყურის მგდეჲ
არც დარში, არც ავდრებში.

ცისთვალა'იც ხქვიანის ჩემ დედის მოსახელე
ყვავილ კესანეს.
არ მომიწყვიტვ, გეხვენებ, დედა ცა-მზეს გაგინვდეს,
შენიმ კვენსა მე...
კესანე არ მომიწყვიტვ,
სუ ჩემ დედა მგონავ...

სტუმარს „გულის ცეცხლ“ სჭირდებ,
ცხვა რა'ისად გსტუმრობს,
თავაც გულს გადაგიწსნის,
გალაღდება-დ' ხუმრობს.
სტუმარს „გულის ცეცხლ“ სჭირდებ,
ცხვა არაფრიზდ გსტუმრობს...

ჟამკრობა ადვილ არაჲ,
სუ მუჭლჩუ'ხრელ შრომაჲ,
ხან სიკვიდი, ხან სიცოცხლეჲ,
ხან გლოა, ხან შობაჲ.
ხან უწყვეტელ ტირილი-დ'
ხან სილაღით თრობაჲ,
ხან საობრისიც თავ არ,
ხან უსრულო თხრობაჲ.
ხან ანასრულ ტრფობაი-დ',
ხან სიყვარულ თმობაჲ.
ჟამკრობა ადვილ არაჲ...

მოავადია' ბალებ
თუშეთ გარეკენთ,
თუ გინდათ რო მისდღემში
ავად აღარ გაჯდენ.
თუშეთ ხო სუყველა'ის
წელერთიან მკურნალი,

წედით, ვინც საოცრების
მონატური-დ' მწყურვალი...
მოავადია' ბალებ
თუშეთ გარეკენთ...
ჩვენ ძველთ დანაბარალი...

მაწსონს, პირველ გაზაფხულ
მამა ფოხვობ ნავიდ,
ნორჩ ტოტ-ყლორტებ დე'ნატრავ
საქონსაო-დ' გავიდ.
ვინ იცის, რამდენ ხეზე
რა'გვერ გავიდ-ავიდ,
დიიდ კონა ფოხვ მიტანა-დ'
მზე ჭკვიანად ჩავიდ,
საქონის ბაგებთაჲ
ხრამ-ხრუმ ზეცისკ ავიდ...
გაზაფხულ აჭმი მამამ
დანატრებულ საქონელს...

*ყური დაუგდეთ ქრისტიანთ,
ზარი რო რეკავს სიონის,
აკი როცა ყურს უგდებდით,
ღმერთიცა შაგვენიონის.
გაბრიელ გარაშვილი*

ჰო, როცა ყურს ვუგდებდით სიონში დანარეკ ზარს,
უფალ მადლით გვმოსავდ,
არ ვუგდებთა-დ' მითა რო სამშობლო პატარავდებ,
ათას ვარამ გვჯოცავს.
აღარ ვართ ქრისტიანებ, უფალს ვედიდკაცებით,
მითა-მით რო გვცოტავს.
აკი გულით ლოცვის მთქმელთ
გვფარევედ, მადლით გვმოსავდ.
უფლის გზით, სიყვარულით
ღმერთს ნულარ რას ვსცოდავთ.

არ მნადის ახლ წერა, მაგრ
გულს რალაცა ეძალბებ,
გველსავით ჭარს ვერ ვიცვლი-დ'
ვერ ვთვალთმაქცობ-ვედავებ.
ღრმა ღამემ-დ კალამდუ'დებს
თვალს ძილ არ, არ მეკარებ,
გულ ძაფს დანაკიდარეჲ
ულონკროდა' მექანებ.

მემრ შენ აღარავინ გკითხავს,
თუ ერთხენ ლექსს შე'ფარებ...

უმთვაროა' ღამეებს
„კუმეტ ღამეს“ ვეძახით,
დაუპურებელ ყანებს
ჯერ „ლურჯიავ“ ვეძახით.
სმა-ჭამაზე მოთმენას
„პირთმობაივ“ ვეძახით...
ღრმაი, ღრმა, ღრმა ძველ თუშურ,
ნუ ემღურვით-ემძრახვით.

„დიდხან სასიცოცხლეივ“, —
ასთა წყველა გამიგი,
ეტყობის, რო სიბერეჲ
გულს ხანჯრისდრად ჩაგიგი.
მამ რად ასრ ზაფრავს ცოცხალთ,
ველარაფერ გამიგი.

თეთრად რო გაბუვდების
ტყემლის ხეებ ტყეში,
თოვას რო დე'დარების
ველ აპრილის თვეში.
შენაც თეთრად ანაპენტ
იმედ გიყვანს ჯელში,
ტყემლიან ტაფეს ხედავ,
ჩამოთოილს ჯევში...

ჯერ სია ჩამოშრობაჲ,
მთის კალთა'ებ განათეთრთ
დღედ'ა ფიორ ემატვის
იგრია'ეც განაპენტო...
ჯერ ჩამოშრობა შორიი
ჭროლ-ჭოდობა დანაჭკდეთ,
ჯერ გულმძიმე ზამთარი...



I ოთხი
მეგობრობის დღიური

თაკარა მზის ქვეშ ბაბუაჩემის ძველისძველ „უიგულოში“ ვზივარ და იმ მომენტს ვიხსენებ, როცა პირველად მოვიკალი თავი — ტბაში ჩავიძირე და ფილტვები წყლით გამეფსო. მაშინ სულ თექვსმეტი წლის ვიყავი და მოულოდნელი თვითმკვლელობის დროს გამეპარა კიდეც. გამეპარა კი არა, თქრიალით გამდიოდა ფსელი. მეოთხე ჯერზე, როცა პირში „მაკაროვის“ ლულა ჩავიდე, ჩახმახს გამოვკარი, თავის ქალა ამძვრა და ჩემი ფიქრები ოთახში გაიფანტა, ნერვიც კი აღარ შემტოკებია. პირველია რთული, მერე ყველაფერს ეწვევი, თვითმკვლელობასაც კი.

პირველად იმანაც გული გამიხეთქა, სრულიად შემთხვევით ჩემი კლასელის, ქამრან მურადოვის სხეულში რომ ჩავსახლდი. მისი მერხის ქვეშ მიკრული კევი შემთხვევით შემრჩა ხელში და უნებურად გავიქანე პირში. უცებ, ერთბაშად მოვარდნილმა ძალამ ელვის სისწრაფით გამაქანა ქამრანის სახლში და მისი თვალებით დამანყებინა ხედვა. ისე შემემინდა, ლამის ენა ჩავყლაპე. გონებითა და თვალებით ქამრანის სახლში ვიყავი და რა გასაკვირია, რომ მასწავლებლის ძახილი ვერ გავიგე. კლასში მხოლოდ მას შემდეგ დავბრუნდი, რაც მასწავლებელმა ჩემი უყურადღებობა დაცინვად მიიღო და სახეში ისე გამილანუნა, კევი პირიდან გადმომაგდებინა. მაშინ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა.

რამდენიმე შიშნარევი მცდელობის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ უჩვეულო ნიჭსა თუ ჯადოსნობის უნარს ვფლობ. ვისაც სასამოვნო ინფორმაციის გაგება უნდა, ცალთვალა მკითხავთან ან ელიტურ ნათელმზილველთან მიდის. ვისაც სიმართლე აინტერესებს, მოდის ჩემთან. მე მათ არ ვუხატავ სამყაროს ნათელ ფერებში. არ ვტყნი ათას ყლობას, რომ გაზაფხულზე, როცა პირველად დაიქუხებს, თავიანთ საბედოს შეხედებინა. არ ვხსნი ჯადოებს და საერთოდაც, კლიენტების მომავალზე სიტყვასაც არ ვძრავ. რა ჩემი საქმეა, ვის დაანინაურებენ სამსახურში და ვის — არა. მე მათ მხოლოდ წარსულზე ველაპარაკები, უფრო სწორად კი იმ ადამიანის წარსულზე, რომლის საღებ რეზინსაც მომიტანენ. მე იმის დანახვა შემიძლია, რას აკეთებდა ადამიანი იმ დროს, როცა ამ კევის ღეჭავდა. მარტივი პროცედურაა: ეჭვიან ცოლებსა და ქმრებს, კიდევ უფრო ეჭვიან მშობლებს, ცნობისმოყვარე მამიდებსა და ბიცოლებს ჩემთან იმ ადამიანის ნაღებები მოაქვთ, ვისი ამბების გაგებაც უნდათ. კევი პირში ვიდე და ყველაფერს იმ ადამიანის თვალებით ვხედავ. მერე კი ნანახს დეტალურად ვყვები: ვინ ვის მოუწოვა, ლექციებზე გასატარებელ დროს სად ატარებს, რა გეგმები აქვს უახლოეს მომავალში. მკვდრების კეველსაც ვღეჭავ და ახლობლებს ვუყვები, რას განიცდიდა სიკვდილის წინ. ხანდახან თვითმკვლელების საიდუმლოებებსაც ვხსნი. შეიძლება ითქვას, რომ მუტანტი ვარ და იმის მაგივრად, კაპიტან ამერიკას მხარდამხარ ვიბრძოდე, დავდივარ და ვილაც ეჭვიან ვიბრძავს ვეტიკელებს. სამაგიეროდ, ნორმალურ ფულს ვშოულობ. ვერ ვიტყვი, ჩემს საძინებელში ფულის მდინარეები ჩამოედინება-მეთქი, მაგრამ თვითმკვდრე იოლად გავდივარ. დღეს დანამდევილები ვიცი, რომ ეს ჩემი სასჯელია, მაგრამ მაშინ ნამდვილი ვერაუქარი მეგონა თავი და კარგადაც ვუთხოვდი. ზუსტად ვიცოდი, რამხელა ფანჩარი ჰქონდა თეკო ჯავახიძეს ბოქვენზე ან როგორ ეფერებოდა საკუთარ თავს ლიზა მასწავლებელი. ეს იმ შემთხვევაში, თუკი გამიმართლებდა და ხელში იმ კევის ჩავიდებდი, რომელიც ლიზა მასწავლებელს ღამიდან მოყოლებული შემორჩებოდა ხოლმე პირში. მერე კი ხელში დააგროვოდა და, მაგიდაზე რომ ბარაქის ხე იდგა, იმისი ქოთნის პირზე მიაკრავდა და, როგორც წესი, იქვე ტოვებდა. მაშინ მეგონა, რომ მთელი ქვეყნის რეზინის ინფორმაციის ვფლობდი, რაც უსასწაურო ძალაუფლებას მძლევდა. მადლობა ღმერთს, ჭკუა ვიხმარე და ამის შესახებ არავისთვის მითქვამს. უბრალოდ, ჩამოვივლიდი ხოლმე გოგონების მერხებს, მოვარგოვებდი ქვემოდან ამოკრულ კეველს და მივდიოდი შინ, სადაც, ვინ იცის, რა ეროტიკული საათები

მელოდა. მოგვიანებით მივხვდი, რომ ამ საქმემ თითქმის ყველა კლასელი გოგო შემაზიზლა. ყველა მათგანმა თითო სისაძაგლე გამოავლინა: აღმოვაჩინე, რომ სალომე ახალკაცი მხოლოდ დღესასწაულებზე იცვლიდა ტრუსიკს, რომელსაც გაუხდელად ყნოსავდა და სანამ იქმნავდა შეგუბება არ დაინყებოდა, მშვიდად ამოინევდა ხოლმე; ნანაკო კრიხელი მხოლოდ ერთხელ ისევამდა ტუალეტის ქალაქს ტრაკში. წმინდად რჩებოდა მხოლოდ ერთი — დაფნა შარანგია — გოგონა ჰაეროვანი სახელითა და მორიელის კუდივით მომართული გვარით. ჩალისფერთმიანი საოცრება უსწორმასწორო კბილებითა და ცალ მხარეს გაბზარული ღმირით. დაფნა შარანგია, რომელიც ჩვენს კლასში 1997 წლის 12 ნოემბერს გადმოვიდა, 13-ში კი მეგობრობის დღიურის

წელი. გონება რომ დამიბრუნდა, შექმნილი უხერხულობისთვის შეთანხმებულ გასამრჯელოს სამასი ამერიკული მწვანე დაუმატა და ჩუქურჯუმიდან საბიჭო გოგონის აეროპორტამდე მძლოლს მიაბრძანებინა ჩემი თავი.

ერთი სიტყვით, ახალგაზრდა ბიჭის კვალბაზე, დურგალ ბაბუასთან ერთად რომ ცხოვრობს, რომელიც თვეში ორ ჯორკოს თუ გამოჩორკის და ერთ მაგიდას გაუმარებს ფეხს, ფულს ხომიანად ვშოულობდი. ერთხელ სულაც იმდენი მომიგროვდა, სამლიტრიანი თავმოხუფული ქელის გახსნა და დაბადების დღეზე კლავილების ნაჩუქარი ყავის ჭიქების დიდ ყუთში გადატანა მომიწია.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ესაა ისტორია ობოლ ბიჭზე, რომელმაც საკუთარ თავში სუპერგმირის ან იქნებ უფრო

ანის ცხოვრებით იცხოვრა, მეორეში კი ბიჭი, რომელიც დღემდე დაფნა-შარანგიას მეგობრობის დღიურის შევსებას ცდილობს და არაფერი გამოსდის.

II ოთხი
306 ხარ?

ბაბუაჩემი გამორთული ტელევიზორის წინ, სახელურებგადატყავებულ, ჩამოძონძილ სავარძელში იჯდა და ჩაბნელებულ ეკრანზე არეკილლ საკუთარ გამოსახულებას უყურებდა. მას ავად ენიშნა ის ფაქტი, რომ თავისი ძმის დაკრძალვის პროცესის დროს კატაფალიკან შემთხვევით ჩამოვარდნილ ზამბახს ფეხი დააბიჯა. ჩემ გარშემო ყოველთვის მარტოსული ადამიანები იყვნენ, მაგრამ ისე მარტოსულად არასოდეს მომჩვენებია ვინმე, როგორც იმ მომენტში ბაბუაჩემი — გიზო ბარნაველი — იყო.

— რას უყურებ? — ვკითხე სიჩუმის დასარღვევად შორიდან, ისე, რომ სამზარეულოს კარის ზღურბლს არ გადავცდებინო.

გიზოს ტელევიზორისთვის თვალი არ მოუშორებია. გაშეშებული იჯდა და ისე სუნთქავდა, როგორც, ალბათ, ძეგლები სუნთქავენ ხოლმე.

— კინოს, — მიპასუხა დაგვიანებით. ამჯერად კარის ზღურბლს გადავცდი, რათა დაგრწმუნებულიყავი, რომ ტელევიზორი ნამდვილად გამორთული იყო. ფარდების ღრჩოებს შორის გამომძვრალი მზის სვეტების სინათლეში მტვერი ირეოდა, რაც ბაბუაჩემს კიდევ უფრო მარტოსულ ადამიანად წარმოაჩენდა. როცა დავრწმუნდი, რომ ეკრანი მართლაც ჩამქრალი იყო, მხოლოდ მაშინლა ავყევი საუბარში.

— რა კინოა? — ერთ ბერიკაცზეა, — ამოხვნიშის მერე თქვა, — მარტოკაცზე. ყველა დაეხოცა და ერთადერთი შვილიშვილი, თან თავისი გაზრდილი, ყურადღებას არ აქცევს. გდია თავისთვის და სიკვდილს ელოდება. მალე მოვა ალბათ ის დალოცვილიც და ეს ბერიკაციც დაისვენებს.

— ხოო? რა უინტერესო კინო ყოფილა. ეგეთი ხო მილიონია გადაღებული. — ვახომ და რეზომ გიკითხეს, სად არის.

— ბოდიში, რა. სამსახურიდან ვერ გამოვძვრი. რას ვიფიქრებდი, ვანო ბაბუას დასაფლავებაზე თუ ვერ მოვიდოდი, მარა ვერ გამოვძვრი და რა ვქნა. თათბირი იყო. — ვა შენ გენაცვალე! რაო მერე, რა მოითათბირეთ?

— არა, მართლა, რა... არ გენყინოს. — საწყალი ვანუაა, — ამოიკნავლასავით გიზომ, — წყნარად ცხოვრება ხო არ აცადეს და მშვიდად სიკვდილიც არ ეღირსა.

სიმართლეს ამბობდა ბაბუაჩემი. ივანე ბარნაველი, გიზოს ძმა, დიდი ხანთაბალა და ათას შარში გახვეული კაცი იყო, შვილები რო წამალზე შეუსხდნენ და ერთ-ერთის მინაში ჩადებაც კი მოასწრო თავის სიცოცხლეში, აი, ისეთი. ბოლო წლებში საწოლში გაუნძრევლად იწვა ფუმფულ სათამამოსავით, რომელსაც წამოზრდილი ბავშვები ყურადღებას აღარ აქცევდნენ და მათი ლოგინების კუთხეებში მუზეუმის ექსპონატებისთვის განისვენებდნენ. რაც ინსულტმა დააკლო, ხანძარმა მოუთავა. მიატოვებდნენ ხოლმე მარტოს საათობით და ერთხელაც აგიზგიზდა სახლი. ერთხელ, რითიც გიზო თავს იმშვიდებდა ის იყო, რომ ვანო არ დამწვარა — უბრალოდ კვამლმა გაგუდა. ცეცხლის წვერსაც კი არ უკბენია კანზე. სამაგიეროდ, ფილტვები ამოევსო კვამლით და გაათავა ვანუა.

— მშვიდი სახე ქონდა სასახლეში. უცნაურია.

— რა არის მაგაში უცნაური? — ეგეთ ნაწვალზე კაცს მშვიდი სახე? — კაი, დაისვენა ადამიანმა. აბა, მაგის ცხოვრება ცხოვრება იყო? გაშეშებული ინვა ხუთი წელი.

— მიცვალეულს რო მშვიდი სახე აქვს, იცი, რას ნიშნავს?

— არა, არ ვიცი.

— ამბობენ, თუ მიცვალეულს დამშვიდებული სახე აქვს, ვიღაცას გაიყოლებსო.

გიზომ გაიღიმა, ნელა გადაიხარა და ფეხსაცმელები გაიხადა. მერე ყავისფერ,

დათო გორგილაძე

იოშიმიცუს კნაპილი

ფრაგმენტები მომავალი რომანიდან



შეგება მთხოვა. დაფნა, რომლის სხეულში შესახლებები ჩემთვის დღემდე ყველაზე ეროტიულ მომენტებად რჩება.

თექვსმეტის რომ გავხდი, სხვათა ცხოვრებაში შეჭყეტის ხალისი უკვე დაკარგული მქონდა, მაგრამ ამ ნიჭსა თუ სასაჯელს სხვა გამოყენება მოუძებნე — ფულის შოვნა გადავწყვიტე. ფულის შოვნა ხმამაღალი ნათქვამია. მეგონა, რომ ნათელმზილველობით თვის ბოლოს რამდენიმე ათეულ ლარს შევაკონინებდი. აღმოჩნდა, რომ მწარედ ვცდებოდი. რამდენიმე ათეული ლარის ნაცვლად ჩემკენ ბევრი ფული წამოვიდა. ამ მდინარემ ფათერაკებით მატარა და ბევრ საშიშ ადგილზე მიმიყვანა. ერთხელ ხელი მომიტეხა, ორჯერ ცხვირის ძვიდე გამიტეხა, რის გამოც ცალი ნესტოთი დღემდე ვერ ვსუნთქავ. ერთხელ ყბა ამომიგდო. ნეკები იმდენჯერ დამებზარა, სათვალავი მაქვს არეული. სხეულის სხვადასხვა ნაწილზე, ძირითადად ყბა-სახის მიდამოებში, დამიტოვა ოცდაჩვიდმეტი ნაკერი, ხუთჯერ შემირყია ტვინი, სამჯერ მომახვედრა პოლიციის განყოფილებაში და წინასწარი დაკავების საკანში ჯამში სამოცდათორმეტი საათი გამატარებინა. თავი ამომაცოფინა უცხო ქალაქებში — მათ შორის, ბაქოში, ნალჩიკში, გროზნოში, ტრაბზონსა და სტამბოლშიც კი. სწორედ აქ, ჩუქურჯუმას სახელოვან უბანში ჩამემტვრა წინა კბილები, როცა ხალიჩებით მოვაჭრე მუსტაფა ბეის დანვრლებით უფამზე, ყოველ დილით მისი ცოლის მოსაჟიშად როგორ ამოდიოდა მანვინის გამყიდველი და რამდენ ხანს ატარებდა ქალის ფეხებს შორის თავჩაქინდრული. ამბის მოყოლა რომ დავამთავრე, თავისი დიდრონი, ბეჭდიანი მუშტი გამომიქანა სახეში და წამიერადვე ჩამოწვა სიბ-

მუტანტის ძალა აღმოაჩინა. არ ვიცი, პირადად მე შეფასებისას არ ვიჩქარებდი. უფრო მეგონია, რომ ეს ამბავი თბილ წყალში გაზავებული სოდაა, რომელსაც კარგად უნდა მოურიო და ერთიანად მოიყუდო, სანამ უკანასკნელ წვეთსაც არ ჩაუშვებ ხახაში. მერე მაგრად შეიზიზლო, უნიტაზთან მიხვიდე, ორი თითი გლანდებად შეითხარო და ყველაფერი ამოანთხიო — სოდიანი წყალი, კუჭი, ნაწლავები, გული, მოგონებები, მომავლის იმედები, ვნებები, დაუკმაყოფილებელი ცნობისმოყვარეობა, ძუძუში ჩამდგარი დაუნთხეველი სპერმა და ფიქრები. მერე კი, როცა დარწმუნდები, რომ ყველაფერი ბოლომდე ამოაწმინდე და აღარაფერი დარჩი, როცა მიხვდები, რომ გამჭვირვალე ხარ — ველარავინ გხედავს და ველარავინ შეგეხება — შეგიძლია თავს დამშვიდების უფლება მისცე.

ძველისძველ BA3 2109-ში ვზივარ და იმ მომენტს ვიხსენებ, როცა პირველად მოვიკალი თავი. რა დედამოტყნულად საშიში გრძნობა იყო. თითო მუჭში თითო კევი მაქვს და თავი „მატრიცას“ პერსონაჟი მგონია. ასეთი სიცხე ბოლოს როდის იყო, აღარც მახსოვს. ლამისაა კევები ხელისგულეში ჩამადნეს. ხელისგულეში, რომელთა სიცოცხლის ხაზეშიც, დაბანის მიუხედავად, ჯერაც შემორჩენილა სისხლის კვალი — ამ კალაპოტში სისხლის მდინარე მიედინება. უკანა ხედვის გაბზარულ სარკეში ვიხედები და ვხედავ გაუპარსავ, ოფლიან და სიცხისგან შემუშებულ სახეს, რომელსაც სარკეზე გაჩენილი ბზარი ორად ჰყოფს. სუნთქვას ვიმშვიდებ და ვხვდები, რომ სარკის ერთ მხარეს ის კაცი ჩანს, ვინც თავისი ცხოვრების ნაცვლად ათასი ცხრათა უცხო ადამი-

ქუსლზე გადაცრეცილ წინდებში გამოკრული ტერფები გაათამაშა და ისევ საგარძელში გადაესვენა.

— კაი, რა! ნეტა არ დაგვალა ამ ცრურწმენებმა? ერთი ის სიზმრების წიგნი უნდა გადაგიგდო, სასთუმალთან რო გიდეცს. გაგაგიჟებს ეგ წიგნი, ერთხელ იქნება. თან ამბობ, ღმერთის მნამსო და თან მაგ უაზრობას აჭმევინებ ტვინს.

— როდის იყო, წიგნები აგიჟებდნენ.

— ეგეთები აგიჟებენ. არ გადაგიგდებ, მარა დაგიმალავ. დაივიწყე ერთი-ორი თვით და გამოგიჩინე ისევ.

— მაღლობა, ყელამდე ვარ შენი პატივისცემით.

— კაი, ჰო! ბოდიში ხო მოვიხადე? მეტი რა ვქნა?! თუ გინდა, „გამახარე, მხოლოდ ერთხელ გამახარეს“ ჩაგირთავ.

— არ მინდა.

— „საკენშია ერთი ქალი“?

მოხუცმა უარის ნიშნად თავი გააქანა და თეთრ, თოვლივით ქათქათა, თუმცა დაბალ წვერზე, მოშვებულის ნაცვლად გასაპარსი რომ ეთქმოდა, ხელი მოისვა, რის შემდეგაც კიდევ უფრო მეტი მტვერი გაერია სინათლის იმ სვეტს, მის სახეს რომ ეცემოდა.

იმ საღამოს, ბაბუაჩემმა, გიზო ბარნაველმა, უბნის სახელგანთქმულმა დურგალმა, რომლის ოქროს წლები კარგა ხანია, მინავლებული იყო და ახლა თავის პატარა სახელოსნოში ავტოფარეხის ადგილზე რომ ჰქონდა მონყობილი, თვეში ორსამა ჯორკოს თუ გამოჩორკინდა და ერთ მაგიდას თუ გაუმაგრებდა მორყეულ ფეხებს, იქამდე რომ არ შემომჩნევია, ისეთი თავდაჯერებით გამომიცხადა: „კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარე უნდა გავხდე!“ სახტად დავრჩი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ შუადღის ძილის მერე ასეთი აბსურდი არასოდეს მომისმენია და, მეორე იმიტომაც, რომ ბაბუაჩემი მთელი თავისი დღე და მოსწრება სამეზობლოს სუფრებზეც კი უარობდა თამადაობას. თან, მე თუ მკითხავს ვინმე, ჩვენს ქვეყანაში კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარეობა მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება გინდოდეს — თუ ცხოვრებაში არასოდეს არავინ ყოფილხარ და ახლა გინდა ხალხს დაუმტკიცო, რომ იმაზე დიდი პენისი გაქვს, ვიდრე ვილაცებს ჰგონიათ, ან კიდევ თუ კომუნისტობის დროს რამე ფულის მკეთებელი კომბინატის დირექტორი იყავი, მაგალითად, პურკომბინატის, პროფილაქტიკის, ჩეხური ჭაღების საწყობის. მერე, ერთი მშვენიერი დღეც გათენდა და ეს ყველაფერი ხელიდან გამოგეცალა — აღარც ფული, აღარც მაგიდის ქვემოდან მორთმული ძღვენები, აღარც პატივისცემა და აღარც მამის სახელით მომართვა — „ალექსანდროვიჩი“. დინოზავრად გადაიქციე ადამიანებს შორის და ახლა ლომკა გაქვს, მითითებები გასცე, რალაცის უფროსი გერქვას. თუნდაც ამისთვის გამგებობდა გამგებობაში მოგინოს სამეზობლოს ხელმძღვანელების ტარება და თითო პროექტორის დაყენებაზე მათხოვრობა. ეგეთი ხალხი მგონი „ჟიგულის“ ტალონებსაც ინახავს რომელიმე რუსულენოვანი წიგნის შუა ფურცლებზე იმ იმედით, რომ ოდესმე კომუნისტები გაიმარჯვებენ და სალონიდან თეთრ 07-ს გამოაგვლევებს, რომელსაც ტაოტის სუნი ექნება. ბაბუაჩემი უფრო პირველ კატეგორიაში გადიოდა, ვიდრე მეორეში, მაგრამ მაინც გასაკვირი იყო გიზოსნაირი კაცისგან ამის მოსმენა.

— ხო იცი, რო ტინგიცობაა ეგ თავმჯდომარეობა?

— მე ისიც ვიცი, რო ჩემი ცხოვრებაც ტინგიცობაა. რა ვქნა, დავანებო თავი?

— არა, მარა ახალი ტინგიცობა უნდა დაიწყო?

— ერთი ტინგიცობა, მეორე ტინგიცობა, მესამე... რა მნიშვნელობა აქვს?

— კაი რა! ამოიგდე თავიდან ეგ სისულელე. ხო იცი, მაღლობას კაციშვილი არ გადაგიხდის მაინც.

— უკან გაიკეთონ თავიანთი მაღლობა.

— აბა, რა გინდა? მაგაში ფულს არ იძლევიან.

— ბავშვებისთვის მაქვს კარგი რალაც ჩაფიქრებული.

— ოოო, მორჩი, რა. შარს ნახავ, იცოდევ. არ გახსოვს მამულის რა ამბები დამართეს? გინდა თუ არა, ლიფტის ტროსები შენ მოაპარინეო.

— ტროსები მართლა მამულოდ მოაპარინა.

— ჰოდა, ღირსებიც არიან, თუ მოაპარინა. ამათ ყველაფერი უნდა მოპარო.


ბაბუაჩემი ბეკინა სამანიშვილივით გაჯიუტდა და მივხვდი, შანსი არ იყო, ვეღარ გადავთქმევინებდი. უბრალოდ, ამ საუკუნის აბსურდში მონაწილეობის მიღება არ მინდოდა. საერთოდ, ჩემი ნაკეთები სისულელეებიც ყელამდე მაქვს, სხვებისაში რო არ გავერიო.

— რაც გინდა, ის გიქნია. მე თავი დამანებე.

— ვერ დავანებებ. შენ უნდა იყო ჩემი საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი.

— რა უნდა ვიყო?

— საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი.



— უყურე შენ! რა სიტყვები გისწავლია. ნუ უყურებ ამდენ საინფორმაციო გამოშვებას. ხო ხედავ, გწყენს.

— შე ვირაშვილო მაიმუნო. როგორ მელაპარაკებ, შენზე ორი შარვლით მეტი მაქვს გამოცვლილი.

როცა გიზო ამბობს, რომ ორი შარვლით მეტი აქვს გამოცვლილი, ესე იგი, თავისი ეგო აუშვა და აბალახებს. მაგ დროს ბაბუაჩემის შეჩერება შეუძლებელია.

— ჰა, მესმარები?

— კაი. რა უნდა გავაკეთო?

— ამომრჩევლებთან შეხვედრებზე უნდა წამომყვე.

„რაც იქნება, იქნება. ჩემი კარგიც მოგტყავს“ — გავიფიქრე და ძილი შევიბრუნე.

ოთხი საათი იქნებოდა, სონიამ რომ დარეკა. სახლის ტელეფონს არ ვპასუხობდი და მობილურზე ვაძვრებო. არ უყვარს მობილურით კონტაქტი. რატომ, არ ვიცი, მაგრამ არ უყვარს და მორჩა. მივხვდი, ეგ იქნებოდა. სახლის ტელეფონზე ან ვინმე ნათესავი რეკავს ან სონია. ვიფიქრე, მივუყურებ-მეთქი, მაგრამ მობილურზე რო გადავიდა და აღარ გაავადო ყურმილი ხელიდან, წამოვიზღაუნე. სონია ჩემი შუამავალია კლიენტებთან. სუტინიორია, მოკლე. კლიენტებს ის მოულოდნელად უფრო სწორად, კლიენტები მოულოდნელად სონიას და ის მიგვემავს ყველაფერს. სამაგიეროდ, მე პროცენტს ვაძლეე. ორმოცი პროცენტი მაქვს. სახელმწიფოზე მეტს ვაჭრის ეგ ოხერი, მაგრამ რას ვიზამ, არ მიყვარს ვაჭრობა და წუნუნი. წლების წინ როგორც შევთანხმდით, ისევ იმ ტარიფებით

ვმუშაობ. ბანკი ხომ არაა, პროცენტის დანევაზე რომ ვეჩალიჩო, სონიაა, ჩვენია, ახლობელი.

— სად დადიხარ? — მკითხა მოსალმების ნაცვლად.

— არსად. სახლში ვარ მთელი დღეა.

— მერე დაყრუვდი? გავხეთქე ტელეფონი.

— მეძინა, ვერ გავიგე ზარის ხმა.

— ბერიკაციც არ არის შინ?

— ნარდის სათამაშოდ ჩავიდა ალბათ.

— ნუ უშვებ მარტო. ასაკშია მაინც.

— რა ასაკშია?! დღეს გამომიცხადა, კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარე უნდა გავხდეთ.

— კაი, რას მეუბნები, — გადაიხარხარა სონიამ, — გახდეს მერე, რა გენაღვ-

ბის საქმეები განწირულია ხოლმე. მე რამდენი შემთხვევაც მქონდა, ყველას ცოლი მიმცემი აღმოჩნდა ერთის გარდა. ის ერთი პატიოსნად დადიოდა აერობიკაზე და ბაზარში. დანარჩენები წაღმა-უკულმა ტყნაურობდნენ. ეტყვი და იწყება მერე მთელი ამბები: „ვის ცოლზე ამბობ, ბიჭო, შენ მაგას“ და ეგეთი დაძაბვები. რაზე ფიქრობენ, ვერ ვხვდები. ეს ბიძა კაცები, უკვე შემლოტებული რო აქვთ თმა, მოიყვანენ ამ მარწყვივით თინეიჯერ გოგოებს ცოლად, ორ კვირაში გავლენ ზღვაში ფერწანდო მაგელანევივით და დაიკარგებიან ერთი წლით. ეს მარწყვივით გოგოები კიდევ ერთხანს გასცქერებიან ზღვას და ელოდებიან, როდის მოადგება გემი ნაპირს, მაგრამ სექსი ხო კოკაინივითაა — ერთხელ თუ გასინჯე, უბედური ლომკა იცის და რალაი გემი არა და არ ჩანს, ამ კოკაინის სხვა ბარიგებისგან ჩალიჩობენ. ეგაა და ეგ.

— არ გამოვა ახლა უარის თქმა, — განაგრძო სონიამ, — ერთმა მთხოვა, ვალში ვარ მაგასთან და ნუ დამტოვებ. სომეხი ებრაელია, ჩემი ძველი ნაცნობი და ამომაცვრინე როგორცაა, რა.

— კაი, გასაგებია. რამხელაა კაცი?

— ორმოცდახუთისი.

— ცოლი?

— ოცდარვისი.

— აუფ.

— ჰო, ვიცი, გარკვეული ბაზარია. არ აქვს მაგას შენთვის მნიშვნელობა. მიდი, დალეჭე ის ოხერი კევი, უთხარი რასაც დაინახავ, ფული აიღე და წამოდი.

— გასაგებია.

— ჰო, ფული წინასწარ აიღე, იცოდევ. მაშინდელივით არ მოგივიდეს.

ფულის წინასწარ აღების წესი ბოლო დროს შემოვიღეთ. რამდენჯერმე ტყუილად მომინია ვილაცების დამპალი კევიების ლეჭვა. ცუდ ამბავს რო იგებენ, ზოგჯერ აუფრენენ ხოლმე ყვავებს, დაიწყებენ ყველაფრის მსხვერველს და ამ დროს ვეღარ ეუბნები, ბოდიში, ბატონო, ჩემი ფული გამართებთო. ეტყვი და წამოვა ალიყური.

— მისამართი მითხარი...

ჩემი უზნიდან მოსკოვის გამზირამდე არც ავტობუსი დადის და არც მიკროავტობუსი. მეტრო ხომ საერთოდ არ არის იმ გადასაკარგავში. ტრასამდე ფეხით ჩავედი და ტაქსი გავაჩერე. თავი მტკიოდა და მძლოლს ვთხოვე მუსიკათვის ხმა ჩაენია — შუფუტინსკის აგუტოვებდა ბოლო ხმაზე. საერთოდ გამორთო.

— რალაც ვერა ხართ ხასიათზე, აი.

— მაგნიტური დღეებია, — მოხუცებისთვის განკუთვნილი პლაცებოს ევექტი გამოვიყენე.

მოსკოვის გამზირი ყოველთვის მძულდა. იქაურობა სუნამოსა და ოფლის მძაფრ სუნსა და სიგარეტის კვამლს მახსენებდა, რომელშიც მობერებული ბოზები გახვეულიყვნენ და თავიანთ ჩამონელებულ ძუძუებს ლილოზე ნაყიდ ლიფებში მალავდნენ. ეს სუნი მამინევი ვიგრძენი, როცა მანქანიდან ვადმოვდებ ფეხი. უკვე ბნელოდა. ქუჩის ლამპიონებს კი ვერაფერ ვერ მოეკრიბათ საჭირო ძალა აქაურობის ნორმალურად გასანათებლად. ლიფტისთვის საჭირო ხარკი — 5 თეთრი არ აღმოაჩნდა, ამიტომაც მეშვიდე სართულზე ფეხით ავასკდი. კართან რამდენიმე წუთს დავისვენე, რომ ქოშინით არ შევსულიყავი. ზარი არ მუშაობდა და ხის კარზე რამდენჯერმე დავაკაკუნე. დიდხანს მომინია ლოდინი, სანამ შიგნით რალაც არ ახმაურდა და ეს ხმაური ნელ-ნელა არ მომიახლოვდა. კარი ვილაც თვალმდებარე ტიპმა გამიღო. „აი, დაიდასის“ სპორტულები ეცვა და ფეხზე — რალაც სამლარიანი ნაჭრის ქოშები. დიდხანს მაკვირდებოდა და ცდილობდა, იმაზე მკაცრი გამომეტყველება მიეღო, ვიდრე სინამდვილეში ჰქონდა. მეცინებოდა, მაგრამ თავი შევიკავე.

— შენ ხარ?


— ვინ მე?

— ვინც უნდა მოსულიყო.

— მე ის ვარ, ვინც სონიამ გამოაგზავნა.

— მკითხავი, ხო?

ყოველთვის, როცა მკითხავს მეძახიან, სურვილი მიჩნდება, რომ ბლაგვი კოვზით გამოვლადრო ვინმეს ყელი, მაგრამ სონიასგან მკაცრად ვიყავი გაფრთხილებული, რომ კლიენტებთან უხეში საუბარი არ შეიძლებოდა. ამიტომაც, მკითხავის იარაღსაც დედის რძესავით ვირგებდი.



ვანო ჩხიკვაძე

ან რამდენი მშობლიურ ბუდეს გადაუფრენს...

ოლონდ შენ არ ნამეცე, დარდს ნუ ჩამაყოლებ — მტერი არ გააცინო, მარტოხეო, ოლე!

ნარი

ცოცხალი — მტერი იყავი, მოხველ — სამარის ნარი ხარ. შენი ლალატის წყალობით ლამის ჯილაგი გაგვიხმა.

ეკლის აბჯარი აისხი, ახლა ვისკენ და საით ხარ, ისეთი მკვდარი არა ხარ, უეჭველად რომ კაი ვთქვა.

ტაძრის კედელი გამოხარ, ვთქვი: — აქ ნარ-ეკალს რა უნდა! ამოდის — იმათ ხნის არის, ვინც ლალატს ძეგლი დაუდგა.

ჯავრით დაბზარულ კედლებთან, რამდენი ყმისთვის დაღამდა, მათი უკვდავი სულები ყვავილად ამოკამკამდა.

— მაინც რომ მოყელყელობ ჭიანურით და დაფითა, ამ მზის წვეთივით გვირილას, ნარო, ფეხი არ დამიდგა!

მათხოვარი ქაშუეთთან

ნუ შეგაშინებს ჩემი კონკები, მე ამ კონკებში ვცოცხლობ, მოვკვდები.

ჩემ ტკივილს ხელი რატომ შეახე, ისიც კაცია. განა ხეა, ხე, საუკეთესო რაც კი გამაჩნდა, სალოცავს მხოლოდ იმით ვეახელ.

ვიდრე საკუთარ თავლას დაგვიდე, რა მოხდა, სხვისიც გადაიხადო, როცა მშიერი დედა დაგვიდის, მე ჩემს კონკებზე როგორ ვიდარდო,

ის არ მგონიხარ, ჩემო ბატონო, ვინც კმაყოფილი ბოლოს იცინებს. ვიცი, კონკებით თავს ვერ განონებ, ჩემი ხვედრია, ვერ მოვიცილებ.

მგონია, როცა გადაიკარებს, ცოტა მოტყდები, ცოტა მოცვდები, სულის სიშიშვლეს ვერ დაიფარავ, კონკებით თუ არ შეიმოსები.

შენს ფიქრს ვკითხულობ — ალბათ, ხელს გიშლი, ჩემი პეგასი, შენთვის პონია, რა ვქნა, გიჟი ვარ, ათასჯერ გიჟი და უფრო გიჟი, ვიდრე გგონია.

ნუ შეწუხდები, ჩემი კონკებით, უფლის კარზე ვარ, სხვას ველოდები!

ჩიჩარონე

მატარებელი შედგა ქაქანით, ვერონაც თითქმის უკვე აქ არის, ნაუკითხავი წიგნის სარჩევი — ძველ გარეუბანს მისდევს ბაქანი.

ყეფდა რადიო, დუღდა ლა-მანში, ცვლიდნენ დალაი-ლამას ლამაში, აქ კი ესვენა ცივ აკლდამაში, ორი დალილი ბავშვი თამაშით.

ბაქანზე გოგო მორბის და გვეძებს — მშვენიერების მსხვერპლიც, ნაყოფიც და ჩიჩარონეს თვალების ცეცხლი ვიგრძენი ჩემზე როგორ გადმოდის.

სული სულსა სცნობს, სხეულს — სხეული, გადაიფურცლა გიდის რვეული. როგორც მზის სხივი ჩამომსხვრეული, მკერდზე მესვენა თმების ხვეული.

*
შენც აუკარი ხელი უებარ ღვთისგან ბოძებულ ჩინს და სინათლეს, თვალი, რომელიც არ გატყუებდა, სწორედ ის თვალი გამოითხარე.

და ველოდებით შენირულ მართალს, ამბორი მაინც რომ აგარიდონ, იუდას ვერცხლი სულ უნდა, მაგრამ ჯერ არ ჩანს ის, ვინც უნდა გაყიდოს.

შემოგვიყიან, რომ მოფრიალე შენი სხეულის დროშაც დაგლიჯონ, ხომ გაქვს წყალობა — ფრთხილად იარე, საკუთარ ჩრდილს რომ არ დააბიჯო.

ქარი

იანვრის ქარი, თებერვლის ქარი, აპრილის ქარი სულ სხვა ქარია, საგაზაფხულო სიზმრებით მთვრალი — იის მშვენივამ რომ გადარია.

უბერავს ქარი, მაისის ქარი, სექტემბრის ქარი, ქარი ნოემბრის, გულის კედელზე გაჩნდება ბზარი ფლოქვთა თქარუნით ამაოების.

ჩაგირბენს, უკან არ მოიხედავს, მძევლად შერჩები დამღლეულ სიშორეს, ერთხელაც სტაცებ ფაფარში ხელს და იმ ქართან ერთად შენც ჩაიქროლებ.

„საზღვრისპირი“

აკაკი ბიძინაშვილს

რაც არის, არის, ახლაც განყდეს სადაც წვრილია, არ უწერია სულს სიმშვიდე და იდილია —

ფეხნამოკრული ბერშოულას რიყეზე ქვები,

გალვიძებული გულმოსული ძაღლების ყეფით, კენწეროდან რომ ავაფრინო მთვარის ციცარი, ორლობების დერეფნებით შენკენ ვიჩქარი.

დავაჟღერიალემ ანჯამებზე უანგიან ჭიშკარს, რომ გამაგონო ეგ ბუბუნი: — მობრძანდით, შინ ვარ!

გადმოიხედავ ტრუბადურის თალხი ქიტონით — ჭირისუფალო, გვინვეს ქართლი გულგაპობილი, შეაშრიალეებს მაგიდაზე ნატანჯ სტრიქონებს და ხელუკულმა შემომამყრის ფურცლებს ორპირი.

გაძნელდა, ძმაო, ქართველობა გვექცა ნამებად, როდემდე? — ჰკითხე ჩაფიქრებულ, მღუმარ სამებას!

მკერდს ჩაიმიჯილავ და ისედაც ვხვდები, უთქმელად, ვისაც შეუთვლი მამა-პაპურ ლოცვა-კურთხევას. ახლა სტუმრობით ტკობისათვის ვილას გვცალია, გათენებამდე ძველებურად რომ ვიქარბუქოთ, ცოფია, მაგრამ დღეს სიცოცხლე უფრო მწარეა, ჩავინვათ ხორხი — ორნახადში ჯავრი ჩავბუგოთ!

*
ტელევიზორს გამოვრთავ, ცხვირში მივაბოლებ,

ჩვენთვის რა ხეირია, დანგრეული ყორე — ასეთები ნაველენ და ისეთები მოვლენ...

აღარ მაინტერესებს — სულს ვინ აიყროლებს, ვინ დაუყრის მარგალიტს სანახევროდ ღორებს.

ვინ გაჰყვება, საითკენ, მატარებლის კუბეს,



დასასრული

— კი. — შემო. ზღურბლს რო გადავცდი, თავი გარეთ გაყო და მიიხედა-მოიხედა. ფილმებში რომ აკეთებენ ხოლმე აგენტები, ისე. სახლში შემწვარი კვერცხისა და გუდის ყველის სუნი იდგა. კორიდორში, ხის კარადების ჩამონჯღრეული კარების ღრიჭოებიდან, ძველი ფეხსაცმელები ჩანდა, საკიდებზე კი ჭუჭყისგან გალაპლაპებული ტანსაცმელი ეკიდა. მისაღები ოთახისკენ გაცრეცილი და დათხელებული ხალიჩა მიმიძღვებოდა. ტუალეტის ღია კარში ძველი, დაბზარული კაფელი მოჩანდა, სიღრმეში კი ჩაყვითლებული უნიტაზი იდგა, რომლის მექანიზმიც მოშლილი იყო და შიგ წყალი ჩხრიჩხლიდა.

— აქეთ! — მიმოითვა მასპინძელმა სამზარეულოსკენ.

კარს მიღმა ზურგშექცევით იჯდა კაცი, რომელიც მოლოდინს დაეპატარავებინა და მოეუხუნა. მის თავზე სიგარეტის კვამლი ნელა ადიოდა ჭერისკენ და ბოლოს იფანტებოდა. წინ ხელნაკეთი, „კოლა-კოლას“ თუნუქის ქილისგან დამზადებული, თავიგულივით გამოჭრილი საფერფლე ედო, მაგრამ ნამდვილი თავიგული საფერფლეში დავინახე: თეთრ-ყვითელი ნამწვები ყვავილებივით იყო უსწორმასწოროდ ჩალაგებული. სამზარეულოზე შემოდგმულ ტელევიზორში, რომელიც, როგორც ჩანს, ვიდეო ან DVD მაგნიტოფონს უერთდებოდა, გაშვებული იყო მომენტი ფილმიდან „ერთხელ ამერიკაში“. სწორედ ის სცენა, როცა დენიროს გმირი დებორას აუპატიურებს მანქანაში. უფრო სწორად, „ერთხელ ამერიკაში“ კი არა, „ადნაჟდი ვ ამერიკე“. საქართველოში ეს ორი სხვადასხვა ფილმი. პირველი უბრალოდ ჰოლივუდური კინოა, იარაღის ტრიალებით, მაგარი ბიჭებითა და ჯახა-ჯუხით; მეორეს კი — „ადნაჟდი ვ ამერიკეს“ — რაღაც გაუთოკავი ვენება და მოუხანძრებელი ცოდვა ახლავს თან. ესაა სიმალე, რომელსაც იმ თაობის ვერცერთი ჭაბუკი ვერ შეწვდა; სახარება, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია; მეთერთმეტე მცნება, რომელიც არ დაწერილა; შავტუხა გოგო „ბაუნტის“ რეკლამიდან, რომელსაც ვერასოდეს შეხებები, მაგრამ მისი წვივების მუქი ბრწყინვალეობა შენს თვალში ყოველთვის აირეკლება. „ბრატის და რა პონტში მოტყენა ძალით, ბიჭო, — რამდენჯერ მომისმენია, — მარა ლაფში მაინც მაგარი კაცია. ნუ, კაცია და თავი ვერ შეიკავა, რა“.

მეზღვაური ხუთი-ექვსი დღის გასაპარსი იქნებოდა და ყელი, არ ვიცი, ბოლოს, განცდებისა თუ ბრაზის გამო, სულ ამონითლებული ჰქონდა. ჩემი დაკვირვებით, ყველა კაცი წინასწარ გრძობს ცოლის ღალატს. უბრალოდ, აღიარებისთვის ყველას არ ჰყოფნის ძალა. ზოგი კი მერე ნანობს, როცა აღიარებს. იქნებ პირში წყლის ჩაგუბება და ზღვაში წყნარად ნაოსნობა ერჩია. სწორედ აღიარების მომენტში ვერთვები მე. მეზღვაურის წინ მდგომ სკამზე მაშინ დავჯექი, როცა თვალებითა და ტუჩებით ფრთხილი მოძრაობით შემომათვაზა.

— წესები იცი? — ვკითხე. — ვიცი. — მაშინ გავსწორდე. მეზღვაური წელში გაიმართა. — გასწორებაში ფინანსურად გასწორება ვიკავალისხმე. — რა გარანტია გვაქვს, რო არ მოგვატყუებ? — არანაირი, მაგრამ წესია ასეთი. თუ არ განყოფი, ახლავე ავდგები, თავაზიანად დაგემშვიდობებით, თუ თქვენი სურვილი იქნება, ხელსაც ჩამოგართმევთ ორივეს და ჩვენ ერთმანეთს ვეღარასოდეს შევხვდებით. თუ სადმე ქუჩაში არ გადავყვართ, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, დამიჯერეთ, რომ თვალს აგარიდებთ და ქუჩის მეორე მხარეს გადავალ.

კაცები გაჩუმდნენ. მივხვდი, ახლავე ამოიღებდა საფულეს. თან ისე სწრაფად, რომ ტრახსაც კი გაიკანრავდა სიჩქარეში. — ტარიფი იცით, ხომ?

მეზღვაურმა მაგიდაზე მდგომი ვაშლებით სავსე ლარნაკი ოდნავ გადადგა, ქვემოდან ფული გამოიღო და ჩემკენ გამოაცურა. სწრაფად გადავთვალე და

როცა დაგრწმუნდი, რომ ყველაფერი რიგზე იყო, მადლობა გადავუხადე. — ახლა სხვა წესები, — მილიონჯერ ნათქვამის გამოვრება დავინყე, — რასაც დავინახავ, ყველაფერს ვიტყვი. რაიმეს დამატება, გამოკლება ან დამალვა არაფერში მჭირდება. ასე რომ, თავს ნუ დაიტანავთ ეჭვებით. როგორც უკვე გითხარით, ჩვენ ერთმანეთს პირველად და უკანასკნელად ვხედავთ. გასაგებია?

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნიეს. თვალბდაჭყეტილი ნელ-ნელა იბრუნებდა და დამიანის სახეს. ოთახში ჰაერი კიდევ უფრო დამძიმდა. კი არ დამძიმდა, საერთოდ გაქრა. თითქოს მეზღვაურმა შეისრუტა ყველას საკმარი. მე მაინც თავდაჯერებულად განვაგრძე:

— შევეცდები, სიტყვები შევარჩიო, მაგრამ ხანდახან მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება და სიჩქარეში კონტროლი მჭირს, რადგანაც არ მინდა, რამე

დათო გორგილაძე
იოშიგიცუს
კნავილი



ფრაგმენტები
მომავალი რომანიდან

გამომრჩეს, ამიტომაც წინასწარ გიხდით ბოდიშს თუ ყველა სიტყვას ისე ვერ გავზომავ, როგორც საჭიროა. გირჩევთ ფურცელი და პასტა აიღოთ და ჩაინეროთ სახელები, გვარები და ის მომენტები, რომლებიც ყველაზე მეტად გაინტერესებთ — მეორედ ველარ ვიტყვი. სენსის დროს ნუ შემაჩერებთ და ნურაფერს მკითხავთ. შევეთანხმდით?

მეზღვაურმა ჯერ ამოიხვნეშა, მერე კი თავი დამიქნია.

— ძალიან კარგი. თუ არ შენუხდებით, თქვენ დაგეტოვებ, — ვუთხარი თვალბდაჭყეტილს, იმან კი, გაკვირვებული სახით მეზღვაურს შეხედა.

- არა, დარჩება.
- არ დარჩება, გავა.
- რატომ?
- იმიტომ, რომ ასეთი წესია და თქვენ ამ წესს დაეთანხმეთ.

თუ მშობლები ერთად მოდიან, მაშინ სენსისზე დასწრების უფლებას ორივეს ვაძლევ, მაგრამ ბოლო დროს კაცების მეგობრებს ოთახიდან ვისტუმრებ ხოლმე. გამოიცდია და ვიცი. როცა შენს პირადულ ტრაგედიას ძმაკაციც ისმენს, თავს ვალდებულია მიიჩნევ, თავი მოიგიჟიანო. თავდავლის მექანიზმია ალბათ.

— დამიჯერეთ, ასე აჯობებს, — დავამატე.

კაცი ოთახიდან გავიდა, მაგრამ ნაბიჯების ხმით მივხვდი, რომ შორს არ წასულა. მეზღვაურმა ღრმად ამოისუნთქა.

— ერთ რჩევას მოგცემთ, — ვუთხარი, — რისი თქმაც არ უნდა მომიწონოს, გადწყვეტილებებში არ აჩქარდეთ. გონება დაიმშვიდეთ და ისე იმოქმედეთ.

საოცარია, ამ დროს ყველაზე ძლიერი კაცებიც კი, მაგალითად ისეთი, როგორიც მეზღვაური იყო, რომელიც წლიდან წლამდე ცამდე აწვდებოდა ტალებს უძღვებდა, სომალელ მეკობრეებს უძვრებოდა ხელიდან და ზღვის ურჩხულებს ებრძოდა, პატარა ბავშვებს ემსგავსებოდა და თითქოს ნითელას აცრის ჩხვლეტას შიშნარევი მოლოდინით ელიანო, ისე გაირინდებოდა ხოლმე.

— შევთანხმდით? მეზღვაურმა ისე ღრმად ამოისუნთქა და თავი დამიქნია. — მომეცით კევი.

კაცმა ჯიბიდან თვალის ლინზის ჩასადები ამოიღო, ხელის კანკალით გახსნა და გამოიწოდა. შიგნით გაყვითლებული კევი იდო. ფრთხილად ამოვიღე, ნამიერად შევანერე პირთან და მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი, რომ მზად ვიყავი, პირში ჩავიდე. საერთოდ ასე ხდება: ერთ-ორი წამი უნდა ტრანსში შესასვლელად, მაგრამ ბოლო დროს, სულ უფრო და უფრო მიჭირს სხვის ტანში გადაბარება. გამოსვლაზე რომ არაფერი ვთქვა. დაახლოებით ერთ წუთში ჩემ თვალწინ ოთახი, მეზღვაურის სახე და ტელევიზორის ეკრანზე გაშვებული კადრი აიმღვრა. გულისრევის მსუბუქი გრძნობა მომანვა და სრულიად ახალი კონტურები დაიხატა:

პორტში ვიყავი და თვალბდაჭყეტილი ალბათ იმის გასაგებად, ვინმე ხომ არ მითვალთვალავდა. სწრაფი ნაბიჯებით მივდიოდი და აშკარა იყო, სავალი გზა კარგად მქონდა დაზეპირებული. რთული მისახვედრი არც ის გახლდათ, რომ პორტისკენ კვალის ასარეგად გადმოვუხვიე და, სინამდვილეში, ისევე ქალაქის სიღრმეებში უნდა შევებრუნებოდიყავი. მოლაპატე ცოლები, როგორც წესი, ტრანსპორტს არ იყენებენ და დანაშაულის ადგილისკენ მიმავალ ნაფხურებს მელიებივით კუდით ასწორებენ ხოლმე. ფოთის ქუჩები არ ვიკოდი. უცნობ ქალაქებში მოხვედრა თავშესაქცევი რამაა, სხვისი თვალბდაჭყეტილი ათვალბდაჭყეტილი უცნობ ადგილებს. თან ისეთი ადამიანის, ვინც აქაური მისახვევ-მოსახვევები კარგად იცის. მოგზაურობასავით რამეა, თუ დაუფიქრებელი. გზის დასასრულს ნითელი აგურით ნაშენებ სამსართულიან ძველ სახლთან აღმოვჩნდი. ქალმა ხის კიბეები ფეხდაფეხ აირბინა და ხისსავე კარზე ჯერ ერთხელ მიაკაკუნა, შემდეგ კი — სამჯერ. ასეთი პაროლები ხშირი ამბავია ხალხისთვის, ვინც გვერდით იყურება და აკრძალულ გზებზე დადის. კარი ახალგაზრდა კაცმა გააღო და ქალი მიპატიჟებდას არ დალოდებია, ისე შევარდა ოთახში.

— ჯერ ვჭამოთ, თუ ჯერ მოგტყენა? — მიახალა კაცმა.

- ფუ, რა საქონელი ხარ, რანაირად მეკითხები.
- რომელი არ გინდა? ჭამა თუ სექსი?
- ორივე მინდა.
- აირჩიე მერე.

კაცი პასუხს არ დაელოდა, ისე ეძგერა ტუჩებში და ტანსაცმლის კარადაზე მიაყუდა. დაკვირვებული ვარ: ახალგაზრდა ბიჭებმა კოცნა არ იცან. ძველ ჰოლივუდურ ფილმებში რომ კოცნიან ხოლმე გაშვებული პირით, ეგრე შევბიან ზუსტად. კოცნა გამოცდილების საქმეა.

მძულს თუ არა თავი, როცა ვინმეს სხეულში ვარ და ამ ბაცანა სირისნაირი ტიპები მხმარებენ? თავიდან მძულდა. ისეთი ზიზღს ვგრძობდი, საქმელსაც ვერ ვჭამდი ხოლმე სენსის შემდეგ რამდენიმე დღე. მერე მივხვდი, რომ ამ დროს საკუთარი თავი ბოლომდე უნდა გამოვროთ და ამ ყველაფერს ისე უნდა ვუყურო, როგორც 3D ფილმს, თან კინოკრიტიკოსის თვალთ. სულ ეგაა. კაცმა ვაგინას ნაავლო ხელი და უხეშად მოსრისა. „მეტყინა, მხეცო“ — უთხრა ქალმა და თან გაუღიმა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ასეთი ტყვილის განცდა კიდევ უნდაა. „ახლა უფრო გეტყინება, — უპასუხა კაცმა, შუა თითი პირში გამოსივსა, კაბა უკნიდან წამოუწია, ტრუსიკში ჩაძვრა და ტრაკში შეუყო თითი, — მოგნონს? ხო მოგნონს?“ — ეკითხებოდა და თან ხმა უკანკალავდა...

...მე ქალისთვის ტუჩებში არასოდეს მიკოცნია. სენსის დროს როგორ არა, მაგრამ ტრანსში როცა ვარ, შეხებას ვერ ვგრძნობ, ბუტაფორიაა ყველაფერი. სექსი მქონია, თან ბევრჯერ, მაგრამ საუნების, ღამის ბარებისა და ეგეთი საეჭრო დანსება-ბურღებების ქალბატონი სექსი არ ითვლება. ბორდელში სექსი ვუდუს თოჯინების ერთმანეთთან ხახუნს ჰგავს. თითქოს ვილაც ერთობა შენით. თან ბოზს ტუჩებში ვერ აკოცებ — უბნის კანონია ასეთი. იმ ქალის ტუჩებს არ უნდა შეეხო, რომელსაც სხვა კაცის პენისი იოდინოლივით გამოუვლია საყლაპავში. მე ეს უბნის კანონები დიდად არ

მაღელვებს, მაგ სამყაროს ნაწილი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ როგორღაც ისე მოხდა, რომ ქალისთვის ტუჩებში არ მიკოცნია. არ მომიწია. ყელში მიკოცნია — ტუჩებში არა. პირველად ქრისტიანს ყელზე გავიწიე. დიღომში, მანქანების ბაზრობასთან „ღამის ბარი“ იყო, ნეონის მწვანე ნათურებით იკითხებოდა სახელი. ყველაზე იაფი დანსებულება გახლდათ ეს „ღამის ბარი“ ასეთ ადგილებს შორის. ამ საქმეში კი ფულს რისკის გარდა ფასად ზოგავ. მინიმუმ სოკო შეიძლება წამოიყოლო დიღმიდან. აქაურობის ერთ-ერთი თოჯინა იყო ქრისტიანა. შავტუხა, გამხდარი გოგო, რომელიც მეგრულ კილოს გულმოდგინედ მალავდა, მაგრამ ამაში ორიანს თუ არა, სამიანზე მეტს ვერ დაუნერდი. ხუთჯერ ვარ მაგასთან ნამყოფი. ყოველთვის გასაპარსი ჰქონდა. გასაპარსი ქალებისკენ გული მაინცდამაინც არასოდეს მიმიწევდა, მაგრამ ქრისტიანა განსაკუთრებული იყო. მასთან სექსის თუ რაღაც ამდაგვარისთვის თითქოს არც მივდიოდი. უფრო იმიტომ, რომ ერთადერთი იყო, ვისთანაც თავს კლიენტად კი არა, ბიჭად ვგრძნობდი. ყურადღებას იჩენდა. ერთხელ ისიც კი მითხრა, რა კარგი ბოტასენი გაცივიაო. ერთ დამესაქცე, როცა მე შემოვად ვიყავი და ზურგზე ღია ფანჯრიდან შემომავალი ხვატი მაშინმედა, ქვემოდან კი ქრისტიანას სხეულის სიმბურვალეს ვგრძნობდი, ხელები ბოლომდე შევუცურე ზურგქვეშ, და მალე წამოვნიე. ტანი ნესტიანი ჰქონდა, რაც მაგრძნობინებდა, რომ ეს ყველაზე ცხელი სექსი იყო ჩემს ცხოვრებაში. ვცადე, თავი მისი თმის სიღრმეში შემემალა და რაღაც ძალამ მაიძულა, ხელზე მეკოცნა. არასოდეს დამავიწყდება ძარღვში გამავალი სისხლის ტალღა, რომელიც ტუჩით ვიგრძენი. ეგ იყო და ეგ. როცა უკვე ვიცვამდით, ქრისტიანა საწოლზე ავიდა ხელები ქრისტესავით გაშალა, „დამიჭირე“ — მითხრა და ჩემკენ გადმოემევა. მე დაეჭირე ზუსტად ისე, როგორც ფილმებში მენახა. ქრისტიანამ გაიცინა, მეც გავიღიმი, ოღონდ მორცხვად.

— ვინ ხარ შენ, ცხვირმონგრეული ბიჭო? — მკითხა.

მე ვიყავი თაზო ბარნაველი. ეს იყო ერთადერთი, რაშიც ყველაზე ნაკლებად მეპარებოდა ეჭვი. თაზო... ბარნაველი... ობოლი ბიჭი კვადრატში, დედიფა და მამათაც, რომლებიც 1993 წლის 29 ივლისს, ზაფხულის ცხელ ღამეს კორპუსის შესასვლელთან დახოცეს და მას შემდეგ იმდენს ვფიქრობდი ამაზე, თვეში ერთხელ მაინც ვხედავდი მათი მკვლელობის კადრების სხვადასხვა ვერსიას. ეს იყო ყველაზე ამოუხსნელი ამოცანა ჩემთვის. თაზო ბარნაველი — ცხვირმონგრეული ბიჭი, რომელსაც გოგოსთვის ტუჩებში არასოდეს ეკოცნა და წარმოედგინა, რომ გოგოს ტუჩებში კოცნა ზაფხულში, ასფალტის სტადიონზე ფეხბურთის თამაშის შემდეგ მეზობლის ეზოში დაგდებული შლანგიდან ცივი წყლის დალევას ჰგავდა...

...ყველაფრის მოყოლა რომ დავასრულე და თვალი გავახილე, მეზღვაური თავჩახრილი იჯდა და ტიროდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ჩუმად ქვითინებდა, ჩემთვის მაინც ყველაფერი გასაგები იყო. დიდი გამოცდილების მიუხედავად, ასეთ დროს ვერაფერს ვაკეთებ. ჩვეულებრივ ვრუშდები, მეც თავს ჩაჯხრი და ველოდები, სანამ პირველი ტალღა გადაუვლის ხოლმე. ზოგჯერ უბრალოდ ვდგები და მივდივარ. იმ დროს კი უცნაური გრძნობა დამეფულა. ამ კაცის გამხნეება მომიწია, მაგრამ ერთადერთი, რაც შევძელი, მხარზე ხელის დადება იყო. მერე ფრთხილად გამოვალე კარი, რომლის უკანაც ასინეთასავით იდგა თვალბდაჭყეტილი. „რა ხდება?“ — ჩურჩულით მკითხა. არაფერი მიპასუხია, თუმცა, როცა ოთახში შესვლა დააპირა, ვანიშნე, არ გინდა-მეთქი. კორპუსიდან გამოვდი თუ არა, თავი ვერ შევიკავე და სადარბაზოსთან ვარწყიე. არ ვიცი, რის გამო. შეიძლება იმიტომ, რომ ბოლო დროს ძალიან მიჭირდა ტრანსიდან გამოსვლა, თავბრუსხვევას ველარ ვიშორებდი. შეიძლება ჩემი ცხოვრების გამო. ტაქსისტი ჩემზე ცუდ ხასიათზე იყო. „თქვენთან მოწვევა ნებადართულია?“ — ვკითხე და შეემშინდა, უარი არ ეთქვა. „აუცილებელიცაა“ — მიპასუხა და უკანა ხედვის სარკეში ჩაიხედა.



წრხხხხხხხხ... დაორთქილ მინას, კანრავდენ წვეთები. დილა შემუშებულ თვალებით დასცქეროდა გაქონილ მუცელზე. ცოლიც დასცქეროდა. დაორთქილ მინას კანრავდენ წვეთები: წხრრრრ... ცოლის ხმა კანრავდა ძილიან სხეულს. აი, ასე: გაიღვიძე! წხრრრრ... აგვიანებ! გაიღვიძე! წხრრრრ... იქ, იმ ეფემერულ სამყაროში ყოველი ბგერა კანრავდა ზმანებას. ძილი იკანრებოდა და თანდათან ჩნდებოდა სიფხიზლეც, ისევე როგორც დაორთქილ ფანჯრებს მიღმა დღე. დღე მზით იცნობოდა... უმზუო დღეებიც მზით იცნობიან. დღე მზით იცნობა... მზიანი იყო დღეც.

წამწამთა გისოსებს არღვევდენ სხივები... ჯერ მარცხენა თვალი გაახილა, შემდეგ ცალი ხელი შუბლთან მიიტანა, მეორე თვალის გახელაც ცადა. შეიმშუშა. გვერდი იცვალა. საბანი ფეხებთან ამოიკეცა. წრხხხხხხ — ისევე გაისმა ცოლის ხმა. დანებების ნიშნად მთელი სხეულით მოდუნდა, ერთი წუთით ისევე შეყოვნდა თბილ ლოგინში. ცოლს თვალი ჩაუკრა, გაუღიმა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს კარგა ხანია, ეღვიძა. გაბანჯგვლეული ფეხის თითები სანოლიან მიყრილ ქოშებში გაჰყო და სააბაზანოსკენ გაემართა ღილინ-ღილინით. კარი ბოლომდე არ მიუხურავს. თან პირს იბანდა თან ზავს ელაპარაკებოდა. გაბმულად ტიტინებდა ბიჭი. დიდი, ლურჯი ველოსიპედი უნდოდა, იმაზე მაგარი მეზობელს რომ ჰყავდა და არ ათხოვებდა ხოლმე. ხთფუ!.. პირში დაგუბებული წყალი გადმოაფურთხა, სახე შეიმშრალა და სამზარეულოს მაგიდას მიუჯდა.

— ლურჯი, არა?
— ჰო! — სწრაფად პასუხობდა ბიჭი და გაფაციცებული თვალებით, მალე-ყველა-შემეხვეწებოდა სახით შესცქეროდა მამას.
— ყველაზე მაგარი ველოსიპედი გეყოლება, მამა გიყვით.
— დღეს გვიან მოხვალ, არა? — საუბარში ცოლიც ჩაერთო.
— სოფელში მიყავთ უბედური, შემაგვიანდება.
სინქრონიში მოხვრიპეს ჩაი და მოზრდილი პურის კარაქიანი ნატეხი ჩაიტენა პირში. ლოყა უსაშველოდ გამოებერა.
— კვირას, ხომ გახსოვს, ქორნილში ვართ დაპატიუებულები. ხუთშაბათს ბაზრობაზე გავალ. ბავშვისთვის ფეხსაცმელებს ვიყიდი და ჩემთვის კაბას.
— სულ თქვენთვის განყვეტილა ეს ხალხი, — ჩაიციხა და ჭიქა მაგიდაზე დადგა. ცოლმაც ჩაიციხა.
მოშვებულ სხეულზე შავი მაისური გადაიცვა.
— მამ, ლურჯი, არა? — კალათიდან ვაშლი აიღო, ხელში შეათამაშა, ზავს თვალი ჩაუკრა და გარეთ გავიდა.

*

მკვდრებსაც სჭირდებოდა მანქანა. აი, ასე... გაიშოტებოდა, გაიყინებოდა და ურტყი მერე წრეები, ემსახურე. სხვაგვარად როგორ, უკანასკნელ ჯობეგახვრეტილსაც მძლოლი მიაბრძანებს წინა დღით გათხრილ-გადათხრილ სამარესთან. გაბენცებული „მერსედესი“ იდგა სადარბაზოსთან. შავი. სიკვდილი ყველაფერს აშავებს. მამ!.. სხვა ფერს არ იხდენს. ძველი ბიჭია. ის ბიჭიც გ(დ)ააშავა, დღეს რომ უნდა გაასვენონ. ის ბიჭიც გ(დ)ააშავა, თანაც როგორ! აი, ამ მუცელგაქონილი მძლოლის ბიჭს კი გვარიანად გაახარებს. ლურჯი ველოსიპედი ეყოლება. დილაუთენია ნირპლიანი თვალებით დანახავს ლოგინთან დაყუდებულს და გაიხარებს. თანაც როგორ! სახე გაეზადრება. ღიმილიანი სახიდან უკბილო ჩანა უჩანს, წვეტებად ჩამოზრდია ორი წინა კბილი. მან ჯერ არ იცის, რომ ის, რაც ახარებს, სხვებს სტიკივით. როცა იღიმი, იქ, სადღაც ღანჯებს იხოკავენ ქალები, იქ, სადღაც ტირიან. სტიკივით, ტირიან, სტიკივით, ტირიან. დაუსრულებლად. არც მათ იციან ჯერ, რომ მალე გაუვლით, შესაძლოა არც ისე მალე, მაგრამ გაუვლით!.. ზაფხულის დღეა... პიჯამოს ამარა მოახტება ველოსიპედს და გაჯგიმული წრეს ურტყამს ნაძვს, ხეს... იმ ბიჭსაც ურტყამდენ წრეებს, გახევებულს. თანაც სამ-სამჯერ. თანაც, სამ-სამნი, უფრო მეტნიც... რამდენი იყვნენ... თავბრუ დაახვიეს სანყალს... თითქოს თავისი არ ჰყოფნიდა, გული შეულონეს, ვიშვიში-

თა და გოდებით. „სიკვდილსაც არ შეგარგებენ ეს ჩემისები“. ნევხარ, ვერაფერს გრძნობ, ლამის გაიყინო, ისე გცივა, ცხვირი ნაგვრძელებია, თმა გაგზრდია, ფრჩხილები გაგლურჯებია, შენი თავი გეზარება, ისე ხარ და ყველა შენ არ დაგყურებს? მოდიან და ბოლო არ უჩანს. აქამდე სად იყავით თქვე... ვაა, ნატაჯანი! შენც აქ ხარ, ტო? ნეტა ერთი-ორჯერ აქამდეც მოემკვდარიყავი, თვალს წყალს დავალევივინებდი. ვაჰ, სიცოცხლეო უკულმართო, დანაცარებო!

ბლღღღღ! ამუშავდა ძრავი. ბლღღღღ... ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს ტირილისგან ხმაჩახრენილი ბგერებს თავს ვეღარ უყრისო. იცის კატაფალკამ თავისი საქმე. ბლღღღღ... და წუთები დათვლილია, მოვა და ნაგვიყვანს. მამ, როგორ! ველოსიპედს ყიდვა არ უნდა? ჰო, მოვა და ხელს ვერ შეუშლი. ჰო, მოვა, მოვა. შენ კი იდე ეგრე გამოტყი... ვაი, შენს დედას, ყვავილებში ჩაკარგული. ვაი შენს დედას!.. ბლღღღღ... ორზე მიგათრევენ საგანგებოდ გამოპრანჭული ბიძა-დეიდები. ისე კი რა მაგარი მასტი ხარ, ყველას ერთად მოუყარე თავი... აბა, როდის შეხვდებოდ-

ნავრსდგე მათ წინაშე. თფუი ამის, ეს რა მოიგონეს ახდლი კუბოთი ხელში ატატება, ყვავილების ფანტავა... სურათს ვინმე ბავშვი დაიჭერს ხელში გახარებული, პატივი მერგოო. მერე ვითომ სახეს „დაივაუნებს“. მასკარადია, ცირკია, ცირკი. კაცურად ვინმემ ეს მარლა ამაცალეთ სახიდან, შევლონდი... იქით სოფლიდან ჩამოსულები „თუხთუხებენ“, ღვინო ჩემზეაო, ცხვარი ჩემზეო. თითქოს ერთი სიკვდილი არ მეყოფოდეს, ანდაც არ ეყოფოდეთ, ცხვარიც უნდა მომაკლან სულში. ან მე, ან იმ სანყალს რას გვერჩიან?! ტრადიციააო, მეტყვით, მაგრამ მუცელს ხო უნდა ამოვსება... ასეა ეს ამბავი, ასე აპრავებენ. ქალები გოდება არ მეყოფოდეს, ამ სანყალი ცხვრის ბლავილიც უნდა გავიყოლო თან. ანდაც რისთვის იბადებოდა ეგ უბედური... სუფრის ამბებს აყომარებენ, ლუკმა-ლუკმა უნდა გაიქარწყლონ ტკივილები. თითო თეფში ჩამოტარებული ლობიო და შილა თითო შვებაა სამასი კაცისთვის. მუცლებს იხურებენ ეს ახვრები! მისავალიაო, იტყვიან მერე და დაეშურებიან, ხარბად გამოიტენიან ღრანჭებს.

ვლამდები, თაო ჩემო, ჩავძალდი... ვეღარც ჭაჭოს დავინახავ, ვეღარც სწოპა



ქეთო დავითური
ბლღღღღღღღღღღ

ნენ ერთმანეთს, ანდაც კიდევ როდის შეხვდებიან. კარგად დაიმაზეთ ნკაპუნები, კარგად, ანზორას ცოლიც კარგად შეათვალერეთ! წყალგამძლე ტუშები წაისვით ქალბატონებო, ანდაც არა! მეტი დრამატულობისთვის ჩამოდაბნილი სჯობს. ღამე ნარდს რომ მიგორებდნენ, ბიჭ-ბუჭები და გამოშორალ ყელს ღვინოთ ისევლებდნენ, ცოტა გავუკიდოთო დაიჩქმა სწოპამ. მოსანევს რა გამოლევს ასეთ რამეებში, დარდებს იქარწყლებენ. თფუი, ამის! გაჩმახებული მოგონებებით გაჰყავთ ღამე. ახალი კლიჩა მაქვს — „ცხოვნებული“. ერთი ამისიც! ჭაჭო, მთეი დღე რომ სადარბაზოში იყო ატუზული, როცა ბიჭები მოსანევდა გავიდნენ, ჩემთან დარჩა, ცივ სახეზე მითათუნებს ხელებს ეს შობელძალი — ეს რა დაგემართა, ბიჭოო და ეს რას ვხედავო... ეეე, ჭაჭო, არ გიხდება, ბიჭო, ეგ კურცხალ-კურცხალი ცრემლები. კაცი არა ხარ? ისე, კი კიი გასართობი ყოფილა ეს სიკვდილი, აქამდე სად იყავი, ჰა? ცოტა გული გაგეხარებინა, თურმე რამდენ ვინმეს აფურე „დარდი-მანდები“... ეხ, სიცოცხლეო!.. ადამიანი ერთხელ არ უნდა კვდებოდეს, კიდევ უნდა იბადებოდეს და მერე ჰეიოი... ნეტა კიდევ გამაცოცხლა და ეს დასპირტული ტილო ამაცალა სახიდან, მეტი თუ მინდოდეს რამე. მაგრამ არაა, ხვალ ხომ ისევე თეთრი სიფათით უნდა დაგვხვდეს მოსამძიმრებს, მომძიმარებს თუ მამაძალღებს. თითქოს მინა არ შემიცვლიდეს ფერს, თითქოს თეთრი უნდა მიმბარონ. ჯერ კი, ხო, უნდა

გამაბოლებინებს სვანურ პლანს. ეჰ, ნატა, ხვალაც ხომ მოხვალ... დარდიც რომ გშვენიის, შე ოხერო...
დილის 11 იყო, ნადიკვრის აღმართს რომ აუყვა გაშავებენცებული კატაფალკა. ბლღღღღ... ერთი კი დაიბლუვლა და სადარბაზოსთანვე მიაჩერა. მობილურში თავჩარგული მძლოლი ისევე სწოპამ შეაფხიზლა:
— 12 ზე გამოასვენებენ, ორამდე ხო ჩავალთ?
— აბა, რა, ეგეთ გზებზე მივლია? — ჩაიღიმა მძლოლმა სიამაყით.
ქუდზე კაციო, ეგ ამბავი ხდებოდა ნადიკვრის აღმართზე; ვინრო-ვინრო ჩიხებში მანქანების ტევა არ იყო. „ისტინი“ ქალაქელებმა ასე იციან, ვისაც რა შეუძლია, როგორც შეუძლია უნდა გააკეთოს. სულ ბიჭებმა ითავეს ყველაფერი. ხელით მოასვენებდნენ, ქურჩა გადაკეტეს. მერე წყაროსაც დაარქმევინ მის სახელს მოსავონრად. სკოლასთან შეჩერდებიან. ერთს გვარიანად დაიტრებენ ქალები და ქურჩის ბოლოს კიდევ ერთხელ დასჭექავენ ტირილ-გოდებას. ნადიკვარს მიხაკები წაღეკავენ, ყოველ დაგდებულ ყვავილზე ფერი შეეცვლება ქვავენილს, აი, იმ ქვავენილს 34 წელი რომ ითვლიდა მის ნაფეხურებს. ამ დამით უეჭველად იტირებს ქურჩა, ცრემლად დაიღვრება ორთაქალის ცაც... მერე? მერე, მიიბარებს კატაფალკის მძლოლი და ჰეიდაა... გაჩმახებული ნადიკვარი კიდევ კარგა ხანს იგლოვებს, აქ ძველ ტიფლისში სხვანაირად იციან, გულით იციან. მართლა სტიკივით.

თბილისს რომ გავცდით, უკან, ფურგონში შეცურებული, მარტო დარჩენილი, თითქოს მამინლა მიხვდვი, რა ხდებოდა ჩემ თავს. აქამდე რომ ყველა მოტირალი მეცოდებოდა, ახლა საკუთარი თავიც შევიბრაღე. ადრე წამიკითხავს — „საკუთარი თავის სიბრაღული ყველაზე დიდი სიმდაბლეაო“ და უცხად მომინდა მთელი ძალით გამეწნა სილა ამის მთქმელისთვის. სხეულით არა, მაგრამ მთელი სულით ვცახცახებდი... არ ვიცოდი, რისი უფრო მეშინოდა, იმის, რომ ვმთავრდებოდი, თუ იმის, რომ კიდევ მეკონდა შანსი, მეცხოვრა და ზემოდან მეყურებინა უჩემო დედამინისთვის... შეგუებისთვის, რომ აღარ ტკივათ უჩემობა და ისევე ისე აგრძელებენ ცხოვრებას... იმის, რომ უჩემოდ დაძვრებიან ბიჭები დასალევად... იმის, რომ უფრო და უფრო იშვიათად მახსენებენ... არ ვიცი, რა ჯობს... აუხდენელი სურვილები მომძახიან, მკვდაროო და მეც ერთიანად მაცახცახებს. ბავშვობაში დაკრძალვაზე რომ მიყვავდი მშობლებს, ანდაც რა ჯანდაბას მითარევდნენ ეგეთ ამბებში, ჩასვენების დრო რომ მოდიოდა, თვალზე ხელს ამაფარებდნენ, ანდაც გვერდზე გამიყვანდნენ

ხოლმე. კუბოზე დაყრილი მინის ხმა ისე ხმამალა ჩამესმოდა, მინდოდა, მთელი ძალით მეყვირა. ძვალსა და რბილში მატანდა და რამდენიმე დღე კიდევ ჩამესმოდა გაუთავებლად. ახლა კი იქ, იმ ცივ მინაში გამომწყვდეული კიდევ უფრო მკაფიოდ გავიგონებ და ვერც ვერსად გავექცევი, გამიათასმაგდება ბავშვობის ყველა ტრაგიკული განცდა და დაგრჩები ამ ხმის ამარა მანამ, სანამ სულ არ გავთავდები... იქნებ ისიც ვცადო, უსისხლო სხეულში ძალა მოვიკრიბო, იოგებდარლუნგებულ ყელს ძალა დავატანო და უკანასკნელ ბგერებსაც დავატანო ძალა, იქნებ წყვდიადმა მაინც მაპოვნინოს სინათლე, იქნებ უნუგეშოდ დარჩენილმა თავად ვცადო, ერთხელ მაინც მოვერიო თავს და გამოვუტყდევ ყველას, თუ როგორი სუსტი ვიყავი მთელი ცხოვრება, რადგან გამუდმებით ვიტანდი... ვითმენდი, ვიტანდი, ვითმენდი, ვიტანდი და ასე დაუსრულებლად. რას? საკუთარი ყოფის აუტანლობას... მინიერ ეფემერებს, უმიმიკო სახეებში გამომწყვდეულ უარაფრობას. იმას, რომ მთელი ცხოვრება მანსს ვეძებდი, მათხოვრად ვიქეცი და ბედმა მხოლოდ ის მარგუნა, რომ ისეთივე მარტოსული ვკვდები როგორც დავიბადე. ბედს თავად ჰქმნიო, ჩამძახოდნენ, მაგრამ არა, რაღაც მაინც უნდა გქონდეს ხელჩასაჭიდი, რომ რაღაც შექმნა, რომ ჩაებლაუჭო, არ გაუშვა... მე უარაფროდ დავიბადე და უარაფრო მივიღვიარ...
რა მარტოსულები ვართ ადამიანები!!!





გამოწყობილი ბეატრიჩე და შემკრთალს შიშნულად შეაჭამა პოეტის გული. ასეთი თავზარდამცემია დიდ ქმნილებათა საიდუმლონი. ის პოეტის გულში ძვეს, რომელშიც მოცემულია მისი მთრთოლვარე ცხოვრების სუნთქვა — ვერშემდგარი დიდი და უკვდავი სიყვარული, რომელსაც ის, თუმცა უფლის ნებით, და მაინც უდიდეს ტივილით, მსხვერპლად გაიღებს.

პოეტი და ღუმელი

როცა სანდრო ბოტიჩელის ცნობილ სურათს, დანტე ალიგიერის დაფნის გვირგვინით შემკულ პორტრეტს შევყურებთ, არა აღტაცება ან სიხარული, არამედ პატივისცემა და მწუხარება გვეუფლება, როგორც რეკვიემის ტრაგიკული მუსიკის მოსმენისას.

როგორც პოეტი ამბობს: „ვტიროდი არა მარტო წარმოსახვაში, ვტიროდი ცხადად და ვტიროდი ცხარე ცრემლებით“.

უჩვეულოა, და მაინც სწორედ ამის ნიშნად, აქ, ამ სურათში, პოეტს ტუჩები მკაცრად, მაგრამ აქვს მოკუმული, რადგან ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა, რომ ღუმელი დაიკვას.

ეს ღუმელი ღრმა მწუხარებას გამოხატავს, და თან მიანიშნებს, რომ მას ბოლომდე ვერავინ, თვით დანტეს გენიაც კი ვერ გამოხატავს.

პოეზია და რიტმი

პოეზიის არსი — რიტმია. ოღონდ ეს რიტმი თავად პიროვნების სამყაროდან უნდა გადმოინდეს. და ეს ისე, როგორც მინის პოხიერ ნიადგამი ჩათესილი თესლიდან მოულოდნელად სხვადასხვა ფორმის, ფერის და სურნელის მქონე ყვავილი ამოვა.

პოეტს გააჩნია. ზოგის რიტმი ზღვის ტალღებით იძვრის, ჯერ ნელ-ნელა, ტალღა-ტალღად იზრდება და შემდეგ კი ნელ-ნელა, ტალღა-ტალღად პატარავდება. ზოგი პოეტის ლექსი ნაკადულივით მოძრავ რიტმს მოგვაცხადებს, ზოგისა კი ტბის მოსარკულ ზედაპირზე, მოლიცილიცე მზის სხივების თამაშსა და მორიგეობით ციმციმს. ზოგისა კი...

არსებითად მნიშვნელობა არც კი აქვს როგორია პოეტის რიტმი. მთავარია, რომ პოეტს ის გააჩნია. ის, რაც პოეტის სუნთქვაზე მიგვანიშნებს და რაც მისი სამყაროს ნამდვილობის დამადასტურებელი ნიშანიცაა.

მუსიკა და პოტიჩელის ზღვა

ყოველთვის, როცა მუსიკას ვუსმენ, იმ რეალურ ზღვას კი არ წარმოვისახავ, რომელიც მლაშეა, მძაფრი მარილის სურნელით რომ გვაბრუნებს. არა, ამ დროს არც ქარიშხლის სუნით გაუღენთილ ჰაერს შევისუნთქავ და არც თეთრი თოლიების ფრენას წარმოვისახავ.

მე უბრალოდ ვხედავ ზღვას ისე, როგორც ამას ბოტიჩელი ხატავდა. არა რეალურ ზღვას, არამედ ზღვის სახეობას — მშვენიერ, ამაღლებულ, ყოფიერების სიმძიმისაგან დაცლილ პოეზიის ნიმუშს.

ეს იმიტომ, რომ ჩემთვის მუსიკა უპირველესად ბოტიჩელის ზღვაშია განთავსებული და ყოველი კომპოზიტორის სევდა, დაუფინყარი მოგონებები ამ წარმოსახული ტალღების მსგავსად ხან გრაციოზულად, რიტმულად წამოიზრდება და ქსოვს ხელოვანის მწუხარე სულის შესამოსელს, ხანაც კი პირიქით, ის სინანულით უკუიქცევა, და არსებობის განუმეორებლობის ხიბლით, გულისმომწყვლელ განცდებს გამოიხმობს მსმენელში.

ბრმა ხელოვნება

ყოველი საუკუნის ნებისმიერი შედევრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აზრად და მის მამოძრავებელ დებულებადაც კი შეიძლება ჰეგელის ფრაზა მიგვეჩინა: „ადამიანი ბრმაა, რომელიც თვალის ახელაზე ოცნებობს“.

მაგალითად, ნიგნს წერდა ადამიანი და ჰეგელის ფრაზის პერიფრაზით შეგვეძლო ასეც გვეთქვა: „ბრმას თვალი აეხილა“.

არქიტექტურულ ძეგლს ქმნიდა არქიტექტორი თუ მუსიკას ქმნიდა კომპოზიტორი, ეს ისევე ასე გამოითქმებოდა: „ბრმას თვალი აეხილა“.

მაგრამ დღეს მე მზარავს იმის გააზრება და შეცნობა, რომ აღარ იწერება ისეთი ნაწარმოები, რომელზედაც ისევე და ისევე ვიტყვოდით: „ბრმას თვალი აეხილა“.

სარკე — ქალი და ხელოვანი

მარტინ სკორსეზეს ფილმის — „უმანკოების ხანა“ — დასაწყისში შევყურებთ მშვენიერ ვარდისფერ, სისხლისფერ, ფორთოხლისფერ ყვავილებს. ისინი თითქოს და უსასრულოდ იშლებიან ჩვენი სულიერი თვალის წიაღ, და ჩვენ, ამ უსასრულობაში ისე ვიხედებით, რომ შევიგრძნობთ სიცოცხლის ფარულ ნაკადს — მშვენიერებას.

ამ მშვენიერებას განასახიერებს მსახიობი მიშელ პფაიფერი, იგივე გრაფინია ოლენსკა ცისფერთვალეა, თეთრყრმინა, თვალწარმტაცი ქალი, თავისი გრაციოზული მანერებით და უზადო აღნაგობით.

წარმოიდგინეთ, რომ ეს ქალი — ელენი — პოეტია, ხელოვანი, რომელიც ერთნაირად განიცდის ყვავილთა მშვენიერებას, ზღვის მიქცევა-მოქცევას, ვარსკვლავების ციმციმს ღამის სიბნელეში თუ მთვარის ზეგავლენას მინიერ სამყაროზე. და ყველაფერ ამას სწვდება არა მისი გონება, არამედ მისი არაცნობიერი, მისი ინტუიცია, მისი გამოუთქმელი ზე „მე“ და ეხლა კი წარმოისახეთ, რომ ის — ხელოვანი თავისი ქმნილებით თავისი სულის სარკეს ჩაჰყურებს და აფორმებს.

ამ მშვენიერი ქალის გარდერობის უმნიშვნელო დეტალი, ეს იქნება კაბა თუ ქუდი, მოსასხამი, ვუალი თუ მარაო, მხოლოდ და მხოლოდ უფრო წარმოაჩენს მისი სულის დაფარულ მხარეს, და ეს ისე, როგორც ხელოვანი — ნამდვილი მუსიკოსი, პიანინოზე შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებით თავის სულს გააშთქვამს.

ორი ხელოვანი — პოეტი-რიტი და პოეტი-გუმბული

შეიძლება სახარებისეული ტექსტის ერთგვარ ინტერპრეტაციადაც კი მიგვეჩინა პოლ ვალერის ფრაზა: „მსუბუქი უნდა იყო, როგორც ჩიტი, და არა როგორც ბუმბული“.

მათე 7.14 „ვინაიდან ვინროა კარიბჭე და ვინროა გზა, რომელსაც სიცოცხლისკენ მიჰყავს და მცირედნი ჰპოვებენ მას“.

მათე 7.13 „შედით ვინრო კარიბჭით, ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისკენ მიჰყავს და მრავალნი დადიან მასზე“.

თუ შენი ჩიტად ყოფნის სიმსუბუქე, სიცოცხლისკენ მიმყვანი ვინრო კარიბჭიდან მიმავალ ვინრო გზაზე მიანიშნებს, მაშინ აქედან წარმოდგება შენი სულიერი სიმართლე, სიცოცხლე, შენი სულიერი ღვიძილი. ის, რაც ღვთაებრივი ნების მიყოლით შენს სულს ურთულეს ურთიერთკავშირში წარმოაჩენს უსასრულო და დაუსაზამო სამყაროსთან, და მაშინ შენი სიტყვა, შენი

სუნთქვა, შენი არსებობა, გამონაკლისის გარეშე ყოველთვის სამყაროს საცნობარს ასახავს, და შენ — მსუბუქი ხარ, როგორც ჩიტი.

მაგრამ როცა შენ არ არსებობ, რაც ნიშნავს, რომ ფართო კარიბჭით იმ განიერ გზას ადგახარ, დაღუპვისკენ რომ მიგიძღვება, მაშინ შენი სული, რომელიც ასე ცარიელია და უშინაარსო, ბრმად იმეორებს, იმიტაციას უკეთებს ნებისმიერ საგანს და შენი სიტყვა, შენი ფრაზა, შენი არსებობა მსუბუქია, უწონადოა, როგორც ბუმბული.

თანამედროვე ხელოვნება პრინციპის მიხედვით; და კიდევ სხვა სახეები

თუ ბერტოლდ ბრეხტის ზუსტ განმარტებას — „უპოქას, რომელსაც დიდი მიზნები არა აქვს, მას დიდი ხელოვნებაც არ გააჩნია“ — გავითვალისწინებთ და ასე გავაანალიზებთ თანამედროვე ხელოვნების მდგომარეობას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ჩვენ თანამედროვე, უღმერთო სამყაროს მართლაც არ შეიძლება გააჩნდეს სერიოზული მიზანი. რადგან უღმერთობა არა მარტო ყველა ღირებულებას აუქმებს, ის იმასაც კი შთაგონებს ადამიანს, რომ არაფრით არ აღემატება ცხოველს. არა იმ ცხოველს, ბუნების უნივერსალური კანონით რომ იმართება და სამყაროს ყოვლადობის, მისი ჰარმონიის თანამონაწილეა. არამედ იმ ცხოველს, დაკნინებული ადამიანის გაბერნებულ სულში რომ იბადება — ადამიანური ცხოველი, რომელსაც მხოლოდ ანტიერესებს: ჭამა და უაზრო თავშეკცევა.

შესაბამისად, თანამედროვე ხელოვნების თემაც სწორედ ამ უსახურ საგანთა გამოხატვას ემსახურება.

მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანამედროვე ხელოვნებას ასევე აქვს გამორჩეული და უჩვეულო მიზანი, მიზანი, რომელიც ნებისმიერი კულტურის, ხელოვნების საზღვრებს სცილდება.

ეს უსასრულობაში ჩაკარგული ადამიანის მდგომარეობაა, რომელმაც სცადა, უარი ეთქვა რომელიმე ეპოქის შეილობაზე, ნებისმიერი ტრადიციისა თუ აღმსარებლობის უფლებაზე, და ბოლოს კატეგორიული განაცხადი გააკეთა ყოფილიყო რომელიმე საზოგადოების წევრი.

ხელოვანი და დაკარგული მეტაფიზიკური საზნაბი

ჩვენ ისე ვეჩვენებით საგნებს, რომ საბოლოოდ გვაკინწყდება მათი მეტაფიზიკური შინაარსი.

ასეთი საგანია სარკე. მე ვიხედები სარკეში, ვხედავ ჩემს თავს და თავად ამ ფაქტშიც საშიში საიდუმლოება გამოსჭვივის.

ეს მეტაფიზიკური სარკე ჩვენი შემეცნებითი გზის ერთგვარი ალგორითია, ამ იდუმალი გზის ალმნიშენელი.

მაგრამ სარკე, რომელიც ჩაის დაღვევის, სტუმრის მოსვლის, კაბის ჩაცმის თუ საჭმლის მიღების „თანამონაწილე“ გახდა, ჩვენდა უნებურად, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების რუტინის ალმნიშენელ საგნად ჩამოქვეითდა.

და ხშირად თვით ხელოვანიც კი, უფრო ზუსტად კი ზოგიერთი თანამედროვე ხელოვანიც სარკის იდუმალების წინაშე ხევდება, რითაც ამ მეტაფიზიკურ საგანს მთლიანად აცლის იმ მაგიურ მხარეს, რაც მას ჩვენი სულის უსასრულო გზის ანაბეჭდად აქცევდა.

გაპერნაპული ხელოვანი და სხვისი სამიზნისკენ მიმართული ისარი

თავისი ერთ-ერთი მოწაფის დასაფლავებაზე მისულ ლაო-ძის, უამრავი ხალხი დახვედრია, რის გამოც ჩინელ ბრძენს უხმოდ დაუტოვებია პროცესია, და თან ასეთი განმარტება გაუკეთებია:

— ეს ადამიანი არ იყო ჩემი მოწაფე, რადგან ჩემი მოძღვრების მთავარი მამოძრავებელი დებულება ვერ აღასრულა. ადამიანმა თავისი თავი სხვა ადამიანის სათამაშოდ არ უნდა აქციოს.

და მოულოდნელად ხელოვანი მწველმა სინანულმა შეიპყრო, როცა უკვე დიდი ხნის წინათ წაკითხულ ამ აზრს ჩასწვდა და გაახსენდა თავისი განუხორციელებული უამრავი ჩანაფიქრი, ნაწარმოები, რომელიც იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ შექმნა, რომ მუდამ ვილაცის სამსახურში იდგა, რამაც ის ვილაცის საშუალება-სათამაშოდ აქცია.

და მიხვდა, რომ ყოველთვის იმ ისარს გადადებდა, რომელიც მისი მთავარი სამიზნისკენ იყო მიმართული, და იღებდა ვილაც, უცხო ადამიანის ისარს რომელიც სულ სხვა სამიზნე წერტილისკენ მიემართებოდა.

ხელოვანი და დიოგენე

გარეგნული თვალთ, ხელოვანი — პოეტია თუ მსახიობი, ფერმწერი თუ კომპოზიტორი, ისევე ცხოვრობს და იმავე ამბებს მოგვითხრობს, როგორც ყველა ჩვენგანი.

შეყვარებულია და ის თავის სიყვარულზე საუბრობს.

ვილაც უკვდება და თავის მწუხარებაზე მოსთქვამს.

მისი შვილი იბადება და ის თავის სიხარულს გვიზიარებს.

მაგრამ ყველასგან მას მხოლოდ ერთი რამ გამოარჩევს. ყველაფერი, რასაც ის განიცდის, აცნობიერებს თუ აკეთებს მნიშვნელოვანი, ღირებული და წონადია, რადგან მასში ცოცხალია ათენის მზით განათებული ქუჩებში მოსიარულე ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენე, ანთებული ფარნით ხელში, შემლილი სახით, ნერვიული ნაბიჯებით და ჩიტის სიმსუბუქით.

როცა დიოგენე ათენის მზით გაკაშკაშებულ ქუჩებში ანთებული ფანრით ჩნდება, ის ამ პარადოქსით ყოველდღიურობაში, ბნელში მყოფთა შეძრწუნებასა და გაღვიძებას ახერხებს.

სწორედ ამიტომაცაა, რომ ხელოვანის სიყვარული, მწუხარება და სიხარული ჩვენში იმ მაღალ სულიერებას შეარხევს, რომელიც ოდესღაც არსებულ, მღვიძარე პიროვნებას შეგვახსენებს — დიოგენეს ანთებული ფანრით ხელში, ვინც ჩვენ ჩვენდაუნებურად მოვკალით.





პოეტი

ვასილ ბესელია

ვასილ ბესელია განათლებით ინჟინერ-მექანიკოსია. სკოლაშიც, პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც სანიმუშო მოსწავლე და სტუდენტი გახლდათ, სპეციალობით მრავალი წელი იმუშავა და საუკეთესო იყო თავის საქმეში. რაც შეეხება მის შემოქმედებით ბიოგრაფიას, ბავშვობიდან გაიტაცა პოეზიამ და სანამ კალამს მოკიდებდა ხელს, მყარი საძირკველი ჩაუყარა თავის ლექსებს — „ვეფხისტყაოსნის“, ზეპირად დასწავლილი ვაჟას, ილიას, აკაკის პოემების, მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკიდან ამორჩეული და მამის ფაქსიმილეთი აღბეჭდილი წიგნების სახით. ალბათ ამიტომ მისი ნაწერები, მისი სიტყვა ქართული მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის, მწერლური კულტურის ნაწილია, მემკვიდრეა, ძალიან შთაბეჭედავი, ცოცხალი, მონუსრეგებული, ზუსტი.

ვასილ ბესელია სამი პოეტური კრებულის ავტორი გახლავთ. ბოლო დროს კი, სოციალურ ქსელში გამოჩენილმა მისმა ლექს-ნოველებმა მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია...

— ბატონი ვასილ, თუ შეიძლება, გაიხსენეთ წლები, როცა პოლიტექნიკურში სწავლობდით — მაშინ უკვე წერდით ლექსებს, გატაცებული იყავით პოეზიით?


— პოლიტექნიკურში სწავლის წლები ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდია. მექანიკურ ფაკულტეტზე მამაჩემის გავლენით ჩავაბარე. მამაც ამ დარგის სპეციალისტი იყო. სიმართლე გითხრათ, უნივერსიტეტში ვაპირებდი ჩაბარებას, ყურნალისტიკაზე. თითქმის მთელი კვირა ვწვინავდი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ. სკოლაში ძალიან კარგად ვსწავლობდი, ოქროს მედალზე დავამთავრე. ქართულ ენასა და ლიტერატურაზე რომ არაფერი ვთქვათ, მათემატიკასა და ფიზიკაშიც მაგარი ვიყავი. ბოლოს უცხო ენის შემეშინდა და არჩევანი პოლიტექნიკურზე გავაკეთე. იქ ინგლისური არ ბარდებოდა. თექვსმეტი წლისა უკვე სტუდენტი გახლდით. მაშინ ინსტიტუტებში სწავლება ჯგუფებში მიმდინარეობდა. როგორც სკოლაში კლასებია, ისე იყო, ოღონდ კლასს ჯგუფი ერქვა. ჯგუფელები ხუთი წელი კლასელებივით ერთ ოთახში ვისხედით. არ ვიცი, რას აფუჭებდა სწავლების ასეთი ორგანიზება, მაგრამ სითბო და სიყვარული, ვფიქრობ, მაშინ მეტი იყო. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შიდა ოლიმპიადები ტარდებოდა — ფაკულტეტები ერთმანეთს თვითშემოქმედებაში ეჯიბრებოდნენ. მე ვწერდი სცენარს მექანიკური ფაკულტეტისათვის. ვთხზავდი სკეტჩებს, იუმორესკებს, ლექსებს. მიმყავდა თეატრალიზებული სალაშქროები. იმ დროს „გუგუნი“ ცნობილი დეკლამატორი და მელექსე გახლდით.

თითქოს პარადოქსია, მაგრამ ვიყავი ძლიერი სტუდენტიც და ისეთ რთულ დისციპლინებში, როგორცაა ტექნიკური ხაზვა, კონსტრუირება და ლითონების ჭრით დამუშავება, სერიოზული შედეგები მქონდა. ტექნიკური საგნების გვერდით, შიგადაშიგ, ჰუმანიტარულსაც გვასწავლიდნენ. მახსოვს, ესთეტიკას უნივერსიტეტიდან მონეული პროფესორი ბენო დობორჯგინიძე გვიკითხავდა. ბატონი ბენო გატაცებით გვესაუბრებოდა ქართულ მწერლობასა და პოეზიაზე და მუდამ თვალბეჭდი მიყურებდა. ზოგჯერ კლასიკოსთა ციტატები ავიწყდებოდა და მე ვახსენებდი ხოლმე. ერთი შენაირი კაცი უნივერსიტეტში მომცაო, სიყვარულით მეტყვოდა.

მაშინდელი ლექსები, ერთი-ორის გარდა, არ შემომჩნა. ძირითადად სიყვარულზე ვწერდი და „ბლოკნოტში“ ვუწერდი გოგონებს. სტუდენტობისას ბეჭდ-

ვა არ მიცდია, ან ვინ დამიბეჭდავდა. მერე და მერე ნაწერები გამეფანტა. ვერც მახსოვრობამ გადამიჩინა ისინი. ამას წინათ ერთმა ქალბატონმა უბის წიგნაკში ჩანერილი მაშინდელი რამდენიმე ლექსი გამომიგზავნა. ეს იყო შეხვედრა სიყვანვილესთან, რომელიც მამამიტ სტრიქონებთან ერთად სიყვარულის ცრემლებსაც გულისხმობდა...

— რამდენად ლიტერატურული იყო გარემო, რომელშიც იზრდებოდით? ვინ



ან რა ჩაგრათ ყველაზე ცოცხლად მესიერებაში?

— დავიბადე და გავიზარდე სოფელში. სენაკელი ვარ, ნოსირელი. მამაჩემი ინჟინერ-მექანიკოსი გახლდათ. დედა — პედაგოგი. ბაბუა რკინიგზელი იყო, თავისუფლად ფლობდა რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებს. ნაკითხი კაცი იყო. კარგი საოჯახო ბიბლიოთეკა გვქონდა. მამაჩემს თითქმის ყოველდღე მოჰქონდა ერთი წიგნი მანც. რიტუალის დონეზე ჰქონდა დაკანონებული ახალი შენაქენის „შემოსავალში აყვანა“. ჯერ გავაცნობდა ავტორს (ან ავტორსა და მთარგმნელს), ნაგვიკითხავდა ანოტაციას, ელოლიავებოდა წიგნს. პირველ ფურცელზე დასვამდა თავის ულამაზეს ფაქსიმილს და მომცემდა, ნაკითხი აუცილებლად. არასაკვირველია, ყველაფრის ნაკითხვას ვერ ვახერხებდი, მაგრამ ძალიან მსიამოვნებდა წიგნებთან ურთიერთობა. ჩემი მწერლური ორიენტაცია ბევრად განაპირობა ამ ამბებმა.

ბავშვობაში ძალიან ცუდი კალიგრაფია მქონდა, ფაქტობრივად, ვვლანდინდი, მასწავლებელი კი არა, მე ვარჩევდი ჩემს

წაწერს. მამაჩემის კატეგორიული მოთხოვნით, ყოველდღე ცალხაზიან რვეულის ხუთ გვერდზე უნდა დამეწერა ნებისმიერი ტექსტი რაც შეიძლებოდა ლამაზად და სალამოს დამეხვედრებინა მისთვის. მთელი წელიწადი ვაკეთებდი ამას და წერაში ისე გავიწაფე და გამოვკეთდი, სკოლის კედლის გაზეთებს მე მაფორმებინებდნენ. რამდენი მოთხრობა მაქვს გადაწერილი თავიდან ბოლომდე, ნუ მკითხავთ.

ბევრად გამიმართლა, რომ მაღალ კლასეებში ქართულ ლიტერატურას დიდებული პედაგოგი და პიროვნება ნაზი თორდია მასწავლიდა. ჩემი პირველი წიგნი, „წვიმიანი მანისი“, ფაქტობრივად მას მივუძღვენი. მანამდეც კი ვანვალედი კალამს, მაგრამ „სერიოზული“ ლექსების წერა მის ხელში დავინყე. ის იყო ჩემი პირველი მკითხველი და დამრიგებელი. უამრავი ლექსი იცოდა ზეპირად და მეც ვცდილობდი მისთვის მიმეზაძა. მოვიწოდომე „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად შესწავლა, თუმცა ბოლომდე ვერ მოვახერხე და შუა გზაში მივატოვე (დიდი ხნის შემდეგ ჩემმა შვილმა დათამ შესძლო ეს). ზეპირად ვისწავლე ვაჟას, ილიასა და აკაკის პოემები, ქართული პოეზიის თითქმის ყველა

„
სტრიქონში
წასრიბი
მიყვარს
“

შედეგები. ლექსების დაზეპირების განსაკუთრებული ნიჭი მქონდა და მომწონდა, რომ ეს ჩემს მასწავლებელს ძალიან ახარებდა.

მაშინ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები ტარდებოდა ქვეყნის მასშტაბით და ბავშვები თავიანთ ნაშრომებს საკონკურსოდ პიონერთა სასახლეში გზავნიდნენ. მე საკუთარ შემოქმედებას წარვადგენდი ხოლმე. არაერთხელ მიმიღია აღფრთოვანებული რეცენზია ქალბატონ ფაცია პაიჭაძისაგან, რომელიც ვერ გავიცანი. ძალიან მაღლიერი ვიყავი იმ ქალბატონის, ისე შემეგულიანებდა ხოლმე, ხელი სულ კალმისკენ გამიზობდა.

— მწერლებიდან ვინ იყვნენ თქვენი პირველი მკითხველები? როგორ და როდის გაიცნოთ, აღმოგაჩინათ მწერალთა წრემ?

— ოცდაორი წლისა ვიყავი, როცა ლექსების გამოქვეყნება გადავწყვიტე. მაშინ ინტერნეტი არ იყო, ლექსები ან პერიოდიულ პრესაში უნდა დაგებეჭდა, ან წიგნი გამოგვცა. წიგნის გამოცემაზე ოცნებაც წარმოუდგენელი იყო. ცნობილი მწერ-

ლებიც კი წლობით იდგნენ რიგში და მათი წიგნების გამოცემა გეგმიდან გეგმაში გადადიოდა. ავდექი და რამდენიმე ლექსი „ცისკარში“ მივიტანე. რედაქტორი გურამ ფანჯიკიძე გახლდათ. ვერაფრით შევედი მასთან, ყოველთვის სხვებმა შემასწრეს. მირჩიეს, პოეზიის განყოფილებას გივი ძნელაძე ხელმძღვანელობს და მასთან მიდიო. ბატონი გივი არაჩვეულებრივი პოეტი იყო, ვიცოდი მისი რამდენიმე ლექსი და წელგამართული შევედი. „ცისფერი მთები“ ხომ გახსოვთ, ის სიტუაცია დამხვდა. ყოველ მისვლაზე მიქებდა ლექსებს და შემდეგ თვეში დაბეჭდვას მპირდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მივხვედი, რომ ჩემი „პაპკა“ საერთოდ გახსნილიც კი არ ჰქონდა. დიდი ძნების შემდეგ ჩემს საქალაქდეს გადასაყრელად განწირულ გროვამი მივაგენი. ამას ახლა საყვედურად არ ვამბობ. დღეს ფეისბუქი ნყალწყალა ლექსებით რომაა გაჯერებული, მაშინ ასეთი ზღვა მასალა გივი ძნელაძესთან მიდიოდა. ზოგი, გინდა თუ არა, დაბეჭდვას მოითხოვდა. ზოგი დაბეჭდვის სანაცვლოდ ჰონორარის შუაზე გაყოფას სთავაზობდა, ზოგიც მთლიანად დატოვებას პირდებოდა და ასე, ათას სისულელეს უსმენდა და უძლებდა კაცი. ეს მაშინ ბატონმა გივიმ მიაგმო — თითქოს მომიბოდიშასავით. ბოლოს ჩემი ნაწერები ჩემ თვალწინ წაიკითხა და რა კაი ბიჭი ყოფილხარო, მითხრა, ხმამაღლა ნაუკითხა თამაზ წივნივაძეს ჩემი „დედამოკაზე ლამე დახრილა...“ დატოვებ და ასიანი დაგეჭვავთო, მაგრამ იმდენად ვიყავი გალიზიანებული, დავავლე ხელი საქალაქდეს და წამოვედი. კარგა ხნის შემდეგ ისევ მივიტანე ლექსები „ცისკარში“. ამჯერად თედო ბექიძემ მართლა წაიკითხა და თქვენ წარმოიდგინეთ, 30 ლექსის დაბეჭდვასაც აპირებდა, მაგრამ მთავარ რედაქტორთან რაღაც გაუგებრობა მოხდა და დაბეჭდვა გადაიდო. მერე თედო ავად გახდა და ყველაფერი ჩაიშალა. მოკლედ „ცისკარში“ დაბეჭდვა მაშინ არ მეღირსა.

პირველად ქალბატონმა ნარგიზა მეგელაძემ გამახარა და „ახკომში“, „იორმის ნახტომში“ ოთხი ლექსი დამიბეჭდა. არასოდეს დამავინყდებდა, როგორ ამყავდა დავდიოდი და მეგონა, ქვეყანა მიცნობდა. ნარგიზა მეგელაძის სითბო და ყურადღება მთელი ცხოვრება გამყავს. ამის შემდეგ ათითორმეტი წელი რედაქციებს არ გავკარებია. ვწერდი ლექსებს და მეგობრების უბის წიგნაკებში „ვაქვეყნებდი“.



პირველი სერიოზული პუბლიკაცია პაატა ნაცვლიშვილის დამსახურებაა. 1987 წელს მან თავის „ახკომში“ გაზეთის მთელ გვერდზე დამიბეჭდა ლექსები ჩემი სურათითა და თავისავი წარდგინებით. ერთი წლის შემდეგ ისევ მთელ გვერდზე დამბეჭდა პაატამ. რომ არა ეს კაცი, შეიძლება პოეტი ვასილ ბესელია საერთოდ დაკარგულიყო. პაატამ გამაქეზა პირველი წიგნის, „წვიმიანი მანისი“, გამოცემაზედაც. ერთი სიტყვით, პაატა ნაცვლიშვილს შეუძლია თქვას, ვასილ ბესელია გზაზე დავაყენეთ. ჩემს პირველ წიგნსაც მშვენიერი შესავალი წერილი დაურთო. „ახკომის“ პუბლიკაციებს არნახული გამოხმაურება მოჰყვა. მაშინ თბილისის „საქვეებმანქანის“ ქარხნის დირექტორად ვმუშაობდი. ვერ წარმოედგინათ, რომ შავი ლითონების ჭრით დამუშავების სპეციალისტი ასეთ ფაქიზ ლექსებს წერდა. ფეისბუქზე დღესაც მახსენებენ იმ წლებს და როგორც მარწმუნებენ, დღესაც შენახული აქვთ იმ გაზეთების ეგზემპლარები.

არაერთხელ დამითმო „ლიტერატურული საქართველოს“ გვერდები თამაზ წივნივაძემ; არ შემიძლია, სიყვარულით არ გავიხსენო ბორენა ჯაჭვლიანი და ჯუმბერ თითმერია. ამ გაზეთს ერთი წუთითაც არ შეუფერხებია ჩემი ნაწერების ბეჭდვა.

სხვადასხვა დროს კეთილი სიტყვა შემანის სილოვან ნარიმანიძემ, გენო კალანდიამ, მორის ფოცხიშვილმა, გივი გეგეჭკორმა, მუხრანმა, მურმანმა, ჯანსუღმა, ზაურ ბოლქვაძემ, თამაზ წივნივაძემ და სხვებმა, ნასულეებმა. ამ წუთას ყველა არ მახსენდება, ღმერთმა აცხონოს ისინი...

ჩემს ყოველ პუბლიკაციას საქებარი წერილით გამოეხმაურა ტარიელ ჭანტურია. ბატონ ტარიელს არასოდეს გამორჩენია ჩემი შემოქმედებითი საღამოებიც... უსახლგროდ მაღლიერი ვარ ამ უსაყვარლესი პოეტისა და კაცის...

არასოდეს დამავინყდებდა ლაშა თა-





ჯულიანო ლადოლფი 1949 წელს დაიბადა იტალიაში, ნოვარას პროვინციაში. დაამთავრა მილანის კათოლიკური უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდა იტალიური და ლათინური ლიტერატურის ისტორიას ნოვარასა და ბორგომანეროს უმაღლეს სასწავლებლებში. უძველესი სოციალური ლინგვისტიკისა და დიალექტოლოგიის სალექციო კურსებს ვერჩელისა და ტურინის უნივერსიტეტებში, ხოლო ნოვარას ხელოვნების აკადემიაში იყო სამი კათედრის: პედაგოგიკისა და ხელოვნების ისტორიის დიდაქტიკის, კომუნიკაციის სოციოლოგიისა და წერის ტექნიკის ხელმძღვანელი.

1988 წელს ბორგომანეროში დააფუძნა დონ პიეტრო ბერნინის სახელობის კულტურის ცენტრი და მესამე ასაკის (ხანდაზმულთა) უნივერსიტეტი, რომლის პროფესორი და რექტორია დღემდე;

1992 წელს დააარსა „პოეზიის მეგობრების აკადემია“;

1996 წელს დააარსა და დღემდე რედაქტორობს ლიტერატურის, კრიტიკისა და პოეზიის ჟურნალ „ატელიეს“; ეს ჟურნალი თანამედროვე იტალიური პოეზიის სამჭედლოდ ითვლება. მისი არსებობის დღიდან თითქმის ყველა ცნობილმა იტალიელმა პოეტმა სწორედ „ატელიეში“ აიღვა ფეხი და ამ ჟურნალის ფურცლებზე მოხვედრა ნებისმიერი ავტორისათვის დიდი პატივია, მითუმეტეს, მნიშვნელოვანია აქ გამოთქმული მოსაზრებები და თანაც, თავად ჟურნალის რედაქტორისაგან, რომელიც შემთხვევით და უბრალო მიზეზით არასოდეს არაფერს აკეთებს. იტალიურ ლიტერატურულ წრეებში ამბობენ, რომ თუკი „ატელიეში“ პოეტის ორიოდ ლექსი მაინც დაიბეჭდა, მერე მის წინაშე ყველა გამომცემლობის კარი ღიაა.

2010 წელს ჯულიო გრეკოსთან ერთად დააფუძნა საგამომცემლო სახლი „ჯულიანო ლადოლფი გამომცემელი“.

იგი აქტიურად თანამშრომლობს იტალიისა და უცხოეთის პრესასთან; იყო ჟურნალ „ნოს“ რედაქტორი; „ალტიტალია TV-ის“ არხზე მიჰყავდა სალიტერატურო გადაცემები. უკვე მრავალი წელია, მთელი იტალიის მასშტაბით, სისტემატურად აწყობს ლიტერატურულ სიმპოზიუმებს იტალიელი თუ უცხოელი ავტორების მონაწილეობით.

ჯულიანო ლადოლფი არის იტალიური ლიტერატურის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი, ავტორია მრავალი პუბლიცისტური, ესეისტური თუ კრიტიკული ნაშრომისა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი 2015 წელს ხუთ ტომად გამოიცა და იტალიის სალიტერატურო წრეების მიერ იმთავითვე შეფასდა როგორც უმნიშვნელოვანესი აკადემიური ნაშრომი.

მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების შედეგია მისი ფსიქო-პედაგოგიური ხასიათის მრავალი ნაშრომი დასტამბული ნოვარას, მილანის, რომის გამომცემლობების მიერ.

დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპაში ჯულიანო ლადოლფის მონოგრაფიამ „ფრანსისკო გოია, დასავლური კულტურის კრიზისის წინასწარმეტყველი“, ისევე როგორც პუბლიცისტურმა ნაშრომმა ბელგიელი მხატვრის, სოფი გოვინის შესახებ.

ავტორია პოეტური კრებულებისა: „ფრენის შიში. ოთხმოციანი წლების ბიჭები“, გამომცემლობა „რებელატო“, 1988 წელი; „დიდონეს დღიური“, გამომცემლობა „გუარდამანია“, 1994 წელი; „სარკის ენიგმა“, გამომცემლობა „ნ.ჩ.ე.“ 1996 წელი, „მონომობა“, გამომცემლობა „ატელიე“, 2005 წელი; „მონომობა“, შევსებული გამოცემა, 2015 წელი.

ფრანგულიდან თარგმნა და 2011 წელს გამოსცა პოლ ვერლენის ლექსები.

შედგენილი და გამოცემული აქვს თანამედროვე იტალიელი პოეტების არაერთი კრებული.

ჯულიანო ლადოლფის პოეტური კრებული „მონომობა“ ქართულად ვთარგმნე და 2017 წელს გამომცემლობა „საარმა“ დასტამბა.

მთარგმნელისგან

ჯულიანო ლადოლფი

საერთაშორისო ხმაები

გიორგი ლობჯანიძე: „ადამიანები დიახ, დიახ... ზუსტად მახსოვს“



ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ამჯერად განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ თანამედროვე ქართულ პოეზიას, რომელიც ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული პროცესის სტაგნაციის ფონზე, ვფიქრობთ, გამოაგნებელი ცხოველმყოფელობით გამოირჩევა. და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან ამ კავკასიელმა ერმა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან იმგვარი ქარტეხილები გადაირა, რამაც სრულიად ამოაყირავა მათი პოლიტიკური, სოციალური და კულტუროლოგიური წესრიგი.

ერთხელ გაგიჟდა და ქვიჩანებმა ოთხკედელში სამკურნალოდ გამოამწყვდიეს... როგორც ჩამდგარი ქარიშხალი, რომელმაც ერთხელ თავის გაზაფხულს ულმობელი მეხთატეხით გადაუარა... საბჭოთა დიქტატურის უღლიდან გათავისუფლებამ, რისი მონმე ამ სტრიქონების ავტორი, პოეტი გიორგი ლობჯანიძეცაა, ხალხში დიდი იმედი გააჩინა, მაგრამ ამას მწარე იმედგაცრუებაც მოჰყვა იმ ღრმა კრიზისის ფონზე, რომლის დროსაც ერთმანეთს შეეჯახა ახალი გამოწვევები და



ეროვნული იდენტობის ძიება სამშობლოს განახლებული ცნების გააზრებით. და პოეზია, რომელიც ძალზე უყვართ იმ ერში, ამის ნათელი გამოძახილია.

ჟურნალში წარმოდგენილი წინამდებარე ათი ლექსი, ერთი შეხედვით, თემატურად შეტყუარებული ჩანს, მაგრამ ერთგვარად შეფარული კავშირი მათ შორის მაინც იგრძნობა, რამეთუ უმთავრესი, რაც აერთიანებთ, არის ის, რომ საქართველოში არსებული რთულ პერიოდს ასახავენ, როცა ქვეყანამ საბოლოოდ უნდა გააკეთოს არჩევანი აღმოსავლურ და დასავლურ ტრადიციებს, წარსულსა და მომავალს, ძველ და ახალ ღირებულებებს შორის. „თოვლის მამა“, თოვლის ბაბუა, რომელიც რეალობის ყინვაში ნაქცეულა, ადვილად შეიძლება ამ ისტორიული მომენტის ემბლემად წარმოჩინდეს, განსხვავებული სამყაროს მოლოდინით რომ მოცულა:

მამა, მე მივხვდი, სად დნებიან თოვლის პაპები. პესიმიზმი იმედს სივრცეს არ უტოვებს: მხოლოდ ბავშვს შეუძლია ზღაპრებისა კიდევ სჯეროდეს, მაგრამ...

მაგრამ, ერთხელაც, იმასაც ხომ არ დაუხვდება საჩუქარი — ნაძვისხის ქვეშ მოფარებული და ცას ახედავს ისე ელდაჩამომზღვეული, თითქოს საფულე დაეკარგოს უცხო ქალაქში...

გამჭრიახი მზერა იკვლევს და აანალიზებს თანამედროვე საზოგადოებას და იქ პოულობს „ადამიანებს წყვედიადში“ და „ადამიანებს ნათელში“, სიმდიდრით მოპოვებული წარმატების მირაჟს დამოხლებულ ადამიანებს, ასევე მართალ და სადა ადამიანებს, ძნელად გასაშიფრ შავ-თეთრი ყოფის ფონზე, როცა სიკეთე და ბოროტება აღრეულია და ამ ვითარებას პოეტი მიჰყავს მწარე დასკვნამდე: „მაგრამ ვერ გეტყვით, ბოლოს როდის ვნახე ადამიანები“.

ავთენტურობის საჭიროება ხელოვნების და მორალის მოთხოვნად იქცა. ვერც რელიგია ასცდა ამას. „წმინდანოფობია“, საკრალურის ფობია, კონცეფციაა, რომელიც სულაც არ ეყრდნობა მატერიალიზმის გაგებას, არამედ ღრმა რელიგიურობის მოთხოვნას, რაც არ გამოიხატება რიტუალების დაცვასა და წმიდა წერილების მორჩილებაში, არამედ ინდივიდის შინაგანი სამყაროს აფორიაქებაში, გამოფხიზლებაში, რათა იგი ადამიანური ურთიერთობის რადიკალური მუტაციის მოძრავ ძალად აქციოს.

ღმერთო, როგორ მეშინია ცრუმინდანებისა, უფრო სწორად: მეშინია წმინდანებისა.

გიორგი ლობჯანიძის ნააზრევის სიღრმე — („მე ხომ იქ გხედავ, სადაც სხვები ვერაფრით ვერ წარმოიდგენენ/მეძავი ქალის გადაქანცულ, სხეულ საშოში,/წარკომანის დასუსტებულ, მიმკრთალ ვენებში,/ იმ ტრასვესტიტის მოჭრილ ასოში,/ რომელსაც სურდა ღვთისმშობელი ყოფილიყო“) უმბერტო საბას „ძველ ქალაქს“ მაგონებს („აქეთ მეძავი და მეზღვაური, იქით მოხუცი ბილწისტყვავაობს და კინკლაობს ვიღაცა ქალი,/ დუქანში ზის ერთი დრაგუნი /და სიყვარულით გაგიჟებული ყმანვილი ქალი ღელავს თავისთვის./ ამ ცხოვრების და ტკივილის ქმნილება ყველა მათგანი/ თითოეულში, როგორც ჩემში, ბორგავს უფალი“). ორივე ავტორმა ავთენტური სახარებისეული გზავნილი პოეზიად გარდაქმნა, უჭუმანურეს პოეზიად, რომელიც ადამიანური სისუსტეებისადმი „პიეტას“ (შენდობის) მეოხებით პიროვნული ღირსების გამოსყიდვის სანაშენდარია.

მაგრამ ჰორიზონტი სრულებითაც არ არის მჭვირვალე და კაცობრიობა აგრძელებს წარსული შეცდომების განმეორებას: ქსოვს და ისევ ქსოვს ტილოს პენელოპე. შესაძლებელია გამოსავლის პოვნა? ალბათ...

ნაქსოვს გამოყვევი, მის მთავარ ნაყმად შენ ჩაგაქსოვე. და რაკი მე აქტიური პენელოპე ვარ, თვითონ მოვედი... ეს ქსელია ჩვენი შვილები...

როგორ შესძლებს ახალი თაობა „ათას ღამეში გამოკეტილი ვარსკვლავი“, იპოვოს თუ მამები მერყევი და დაბნეულები არიან? შესძლებს „ის“:

ვისაც სხვისა კი არა, თავისი თავისაც ველარ გაუგია, ვინც მარტოობის ნისკარტებით არის აკენკილი.

თუმცა მას პოეტის თვალელები სჭირდება „მე გჩუქნი ჩემს თბილ, თავლისფერ თვალეებს“, რადგან „თვალეებში მთელი სამყარო გადაიშლება“.

მამასადამე, ექნება ბავშვებს მომავალი? ლექსი „დღეების ზღაპარი“, რომლითაც მთავრდება ჟურნალში წარმოდგენილი პოეტური ნიმუშები, ეჭვს არ გვიტოვებს: საქმე მხოლოდ სასტიკ ილუზიას ეხება.

თარგმნა ნუნუ ბელაქია

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940



9 772346 794004